№ 2945
ოთხშაბათი
9 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2945
ოთხშაბათი
9 ნოემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა. ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896–1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-“Моамбе“. ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა. არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

გ. და ი. მანდლ

მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ოდესაში, შეძლებას აძლევს **„ექსელანს“**-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—ნ.—22)

„ცნ. ფურცლის“ რედაქცია სთხოვს იმ ხელისმომწერთ, რომელთაც სრულად არ შემოუტანიათ ფული, შემოიტანონ ნოემბრის 10 რიცხვამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოისპობათ.

პეტრე ვასილის ძე, ანასტასია ქაიხოსროს ასული, დავით, გრიგოლ, ვასილ, ივანე, პიმენ, ალექსანდრა, ნინო, ვერა წულეისკრები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას პირველნი—ძვირფას შვილისა, მეორენი—საყვარელ ძმის რეალურ სასწავლებლის მოსწავლის

კოლა წულეისკირისას.

დაკრძალვა 10 ნოემბერს, 2½ საათზე, საფირჩხის სასაფლაოზე. გამოსვენება დადიანის ქუჩიდან № 8. (1—ნ.—1)

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 5.

ხუთშაბათს, 10 ნოემბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და **ს. მ. რომანიშვილის** მონაწილეობით პირველად

ახალი პიესები:

I **ძალა ცოდნაშია** — პიესა 3 მოქ. ფილიპისა.
II **ქურდი** — კომედია 1 მოქ. მირბოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. შეგირდებთათვის ადგილები 40.
მზადდება წარმოსადგენად „სულით ობოლნი“ და „ქოხში“. რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

სატრაქტირო დებულების მე-34 და 41 პარაგრაფების ძალით, სთხოვს ქვემოდ დასახელებულ სატრაქტირო დაწესებულებათა პატრონთ მობრძანდნენ გამგეობის შენობაში გადასახადის გამწერ კომისიის წევრთა ამოსარჩევად და სატრაქტირო გადასახადების გასაწერად მომავალ 1906 წლისათვის ქალაქის სასარგებლოდ, შემდეგ დღეების 12 საათზე, სახელდობრ: ტრაქტირებისა და დუქნების პატრონები—8 ნოემბერს; სასტუმროებისა—9 ნოემბერს; რესტორანებისა, ბუფეტებისა და საკონდიტეროებისა—10 ნოემბერს; ლუდხანებისა—11 ნოემბერს; ღვინის სარდაფებისა და რენსკის სარდაფებისა—12 ნოემბერს; სამზარეულოიან სასტუმროებისა, ყავახანებისა და საჩაიებისა—13 ნოემბერს; სანოვაგეთა დუქნებისა—14 ნოემბერს და ბაკებისა—15 ნოემბერს. (1—ნ.—1)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ა. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—22)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვამ,

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საა-

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—24)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 11, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—22)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—23)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა,

აცხადებს რა საყოველთაო საცნობელად, რომ 10 ნოემბერს, ხუთშაბათს საღამოდან უნდა გაიწმინდოს აუზი, საიდანაც გადის წყალი დიდუბესა, კუკიასა, ჩუღურეთსა, ვორონცოვის შოსსესა, ხარფუხსა და მტკვრის მარჯვენი ნაპირზე გოლოვინის პროსპექტამდე, ხოლო 13 ნოემბერს, კვირას საღამოთი—ის აუზი, საიდანაც ეძლევა წყალი გოლოვინის პროსპექტის ზემოთ მდებარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, განოვის ქუჩასა, ოლგასა და წყნეთის ქუჩებს და იმათ გადასახვევებს, მამა დავითისა და ამაღლების მოედნებსა, ავლაბარსა და ნავთლუღს, სთხოვს ამ უბნების მცხოვრებთ ამ

ტფილისი, 9 ნოემბერი.

მანიფესტი და გლეხთა გაჭირვება.

დაიძრა მძლავრი გლეხობა, აბობოქრდა ძირამდის თვალგადუწვდენელი ზღვა, მჭექარის ხმით ჰქუხს და აუწყებს ქვეყანას თავის გაჭირვებას, ჰქუხს და უქადის წალეკას ყველას, ვინც-კი ჯეროვანის ყურადღებით არ მოეპყრობა, ვინც-კი არ დააკმაყოფილებს იმის მოთხოვნილებას.

რა სურს ამხედრებულ გლეხობას? ეს სჩანს ჯერ „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის“-მიერ შემუშავებულ პროგრამიდან და მერე აჯანყებულ გლეხთა მოქმედებიდან. იქ, სადაც გლეხებს არა ჰყავთ, მოთავე, არა ჰყავთ დამრიგებელი, ან ჰყავთ, მაგრამ ისეთი, ვინც გენერლის ტანისსამოსით, მედლებით და ჩინებით დადის, როგორც დეპეშა გვატყობინებს, იქ გლეხობა სტიქიურის ძალით და სტიქიურისვე უაზრობით მოდის, მოდის და მოაქვს თან განადგურება ჯერ-ჯერობით ახლო-მახლო მყოფ მამულებისა, აკლება მსხვილ მემამულეებისა და სხვა. ჩვენ თვალ-წინ, ალბად, ისეთივე მოძრაობაა, მხოლოდ უფრო მძლავრი და მგრგვინავი, როგორც იყო ამ რამდენისამე წლის წინად პოლტავისა და ჩერნიგოვის გუბერნიებში.

მაგრამ ამ სტიქიურ მოძრაობიდანაცა სჩანს, რა უნდათ გლეხებს. გლეხებს უნდათ მიწა, გლეხებს უნდათ საშუალება შრომისა, მხოლოდ ისეთ შრომისა, რომ იგი უნაყოფო არ იყოს, რომ იგი აძლევდეს უსაჭიროეს სარჩოს მაინც, რომ გლეხი არ აძლევდეს სხვას უმეტეს ნაწილს თავის შრომისას, რის ნაცვლადაც ის კუქსაც-კი ვერ იძლობს. ბევრის მომთმენია გლეხი, მაგრამ იმის მოთმინების ფიალაც აივსო. გლეხთა მოწინავე ნაწილმა კარგად იცის, რომ ბიუროკრატია სავსებით ვერ დააკმაყოფილებს იმის მოთხოვნილებას და ამიტომ თხოულობს დამფუძნებელ კრების მოწვევას საყოველთაო და სხვა კენჭის ყრით. ხოლო უფრო შეუგნებელი ნაწილი თავის უახლოეს მტერზე იყრის ჯავრს და, თუ მალე არ მოეღო ამას ბოლო, დიდი განსაცდელი მოელის რუსეთს.

მთავრობაც მიხვდა, რომ აქ მძლავრ მოძრაობასთანა აქვს საქმე და ამიტომ დააჩქარა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება უმაღლესმა მანიფესტმა შეასრულა ის, რასაც ამ რამდენისამე წლის წინად გლეხების ინტერესთა დამცველნი თხოულობდნენ. მანიფესტის ძალით, გლეხობას უნდა შეუმცირდეს 1906 წელს სანადელო გადასახადები, ხოლო 1907 წელს სულ მოისპოს. გარდა ამისა უნდა საგლეხო ბანკებმა კიდევ უფრო გაუადვილონ გლეხებს მიწის ყიდვა და ამისთვის-კი უფრო შეღავათიანის პირობებით აძლიონ სესხი.

თუ გავიხსენებთ, რა არის გლეხთა მოთხოვნილება და საჭიროება, მივხვდებით, რომ პირველი მუხლი სრულიად უმნიშვნელოა მათთვის, რადგან გლეხს ნადელი სულ ერთია არა ჰყოფნის და ნადელის გარდა, იგი იძულებულია სხვა მიწაც აიღოს იჯარით. მეორე მუხლი კი სწორედ გლეხის უმიწაწყლობის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ შეუძლიან განა ნახევრად მშიერ გლეხს სესხი აიღოს ბანკიდან, რაც უნდა შეღავათიან პირობებით იყოს ეს სესხი? მეტადრე წლევანდელ წელს, როდესაც თითქმის მთელი რუსეთის ნახევარი დამშეულია, როდესაც გლეხს საჭმელად პურიც კი აღარა აქვს. აშკარაა, ამ შეღავათიან პირობებით ისევ უფრო მდიდარი გლეხობა ისარგებლებს. მათთვის მართლაც მნიშვნელობა გლეხობა შეისყიდის ყველა გასასყიდ მიწებს და უღარიბესი და უმრავლესი გლეხობა კი ისევ უმიწა-წყლოდ დარჩება. მით უმეტეს, რომ მიწების გაცხარებით შესყიდვა, რაც უეჭველად დაიწყება ამ შეღავათიან პირობების გამოცხადების შემდეგ, მიწის ფასს ასწევს. ამიტომ, ვიმეორებთ, გლეხობა ისევ უმიწა-წყლოდ დარჩება, ისე რომ ამ საგლეხო ბანკსაც მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

იყო, მართალია, დრო, როდესაც საგლეხო ბანკები ბევრ გლეხთა მოსარჩლესაც ხსნად მიაჩნდა, მაგრამ ის სულ სხვა დრო იყო, მაშინ სანადელო გადასახადის მოსპობასაც თხოულობდნენ და ამაზე ჩერდებოდნენ, რადგან ამაზე მეტის მოთხოვნა საშიში იყო. ბიუროკრატია ამ მოთხოვნაზე უბღვერდა მათ და არა კეთილსაიმედოთა კანდიდატებად ნიშნავდა ამისთანა პირთ. რა თქმა უნდა, ბიუროკრატია რომ შორს გამჭვრეტი ყოფილიყო და თავის დონეზე აესრულებინა ეს მინიმალური მოთხოვნა, გლეხი ასეთის მრისხანებით არ მოადგებოდა კარს. ცხოვრების წინსვლა თავის დროზე წავიდოდა, ნელ-ნელა განხორციელდებოდა ყოველივე საფუძვლიანი მოთხოვნილება. ეხლა კი, როდესაც ბიუროკრატიამ თავის დროზე არ იფიქრა ამაზე, ალბად, იმ იმედით, რომ დროებით კანონებით, ხიშტებით და სხვ. გლეხებს ჭამას დაავიწყებდა, ეხლა, რა თქმა უნდა, იგი გამოუწოდებს გლეხობას იმ ლუკმას, რომელსაც ეს უკანასკნელი წინად თხოულობდა.

მაგრამ გვიან არის. ეხლა გლეხი მაგით ვეღარ დაკმაყოფილდება. საჭიროა ძირიანადი ცვლილება. ალბად, მანიფესტსაც ეს ძირითადი ცვლილება აქვს აზრად, რომ ამბობს: შემდეგ საერთო შრომა ჩვენისა და რუსეთის ხალხის მიერ არჩეულ საუკეთესო წარმომადგენელთა... შესძლებს გლეხთა საჭიროების დაკმაყოფილებასაცაო... მაგრამ ხალხის წარმომადგენლების მოწვევა იანვარში არის განზრახული. მანამდის კი სტიქიური ძალა ვერ მოითმენს; გარდა ამისა პირველ სახელმწიფო სათათბიროს ჩვეულებრივი „საკანონმდებლო“ უფლება ექნება, ესე იგი იმისი უფლება სახელმწიფო საბჭოს წევრების უფლებით განისაზღვრება, მაშინ როდესაც პირველ კრების დადგენილებას, რომელიც უნდა შეეხებოდეს სახელმწიფოს ძირითად კანონს 17 ოქტომბრის მანიფესტში გამოცხადებულ საფუძველზე, უნდა უსაცილო კანონის ძალა ჰქონდეს. ამ გვარი კრება კი იქნება დამფუძნებელი კრება და ეს კრებავე განიხილავს გლეხთა საკითხსაც. ამ გვარ კრების გამოცხადება და მისი ახლო მომავალში მოწვევა უეჭველად დაამშვიდებს როგორც მოწინავე საზოგადოებას, ისე ხალხს.

* * *

პოლონეთის საქმეები.

გრაფ ვიტტეს სამინისტრო ერთის მხრივ განმათავისუფლებელ მოძრაობისკენ იცქირება და მეორეს მხრივ—ძველ რუსეთისკენ. იმის მოქმედების სისტემა მთლად ძველის სტილისაა, მაგრამ საზოგადოების თანაგრძნობის მოსაპოებლად განუწყვეტლივ აცხადებს, ჩემი გულის წადილი სამოქალაქო თავისუფლების დამყარება და გამტკიცებააო. ზოგჯერ ეს ორაზროვნება, ორსახიანობა ნათლად არა სჩანს და გულუბრყვილო პოლიტიკოსებს სჯერათ გრაფ ვიტტეს გულწრფელობა, მაგრამ რაც ხანი გადის, მით უფრო ნათლად და ცხადად ირკვევა, რომ ეხლანდელი სამინისტრო სრული განხორციელებაა ძველის რეჟიმისა, მხოლოდ სამოსელ გამოცვლილი, განთავისუფლების ქერქში გახვეული.

ჯერ-ჯერობით გრაფ ვიტტეს მმართველობის საუკეთესოდ დამახასიათებელი ფაქტი პოლონეთში სამარ დროის წესების შემოღებაა. სამარი წესები, ე. ი. მათრახის და ხიშტის მოწოდება სახელმწიფო მშვიდობიანობის და მყუდროების დასაცველად, ცხადია, ისევ შეურიგებელია სამოქალაქო თავისუფლებასთან, როგორც ცეცხლი და წყალი. ფიზიკურს ძალას ადვილად შეუძლიან გარეგნობით მოსპოს საზოგადოების და ხალხის იდეური მისწრაფება, მაგრამ არსებითად-კი ფიზიკური ძალა ამ მოძრაობას უფრო აძლიერებს, უფრო მეტს ზნეობრივ ღონეს აძლევს. სამარ წესების საშუალებით ბრძოლა ხალხის საზოგადოებრივ მისწრაფებასთან სწორედ ძველის რეჟიმის ერთი მთავარი ნაკლულევანება იყო, რომლის გასაუქმებლადაც ამოძრავდა ეხლანდელი რუსეთი, რომლის წინააღმდეგაც ჰმოქ-

ამიტომ მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო გრაფ ვიტტესთვის, რომ საზოგადოების თითქმის ყველა წრეებმა, განთავისუფლებისთვის მებრძოლმა ჯგუფებმა ყველგან მტრულად შეჰხედეს პოლონეთში სამარ წესების შემოღებას და პროტესტი გამოაცხადეს. გრაფ ვიტტეს მმართველობას არც საზოგადოებრივ ძალთა თანაგრძნობა ჰსურს დაჰკარგოს და არც რუსეთის მთავრობის ტრადიციებს ჰსურს უღალატოს. აი, სწორედ აქ იწყება ის ტრაგიკომედია, რომელსაც ჭკვიანი ვიტტე ნათლად ჰხედავს და რომლის დაფარვასაც სცდილობს იგი საპაგალითო დიალექტიკით. „სამარი წესები—გამომაფხიზლებელი ღონისძიებააო, აცხადებს გრ. ვიტტე და დასძენს, თვით პოლონელების ხელშია მალე გამოერკვივნენ ეხლანდელს აფრთოვანებას, მალე დაწყნარდნენ, და მაშინ 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალაც აღდგენილ იქმნებაო“.

გრაფი ვიტტე არ უარჰყოფს, რომ პოლონელებს სეპარატისტული მისწრაფება არა აქვთ, მაგრამ ავტონომიური და დამოუკიდებელი სახელმწიფო მეტად ახლო არიან ერთმანეთზე, პოლონელებს ადვილად შეუძლიანთ ავტონომიისადმი მისწრაფება სეპარატიზმით შესცვალონ, რასაც შეიძლება მეტად სახიფათო შედეგი მოჰყვესო, და ამიტომ გრ. ვიტტეს მმართველობას საჭიროდ მიაჩნია ეხლავე საჭირო ზომები მიიღოს სეპარატიზმის საწინააღმდეგოდ, ე. ი. სამარი წესები შემოიღოს. ცხადია, რუსეთის ეხლანდელი ლიბერალური მთავრობა წინანდელი ოპეკუნობის როლს კისრულობს: მთავრობას ჰსურს საზოგადოებრივ მოძრაობის და აზრს განვითარებას წინ წაუსწროს, იმისი რეგულიატორი შეიქმნეს და ხიშტით და მათრახით ანადგუროს ის, რაც ჯერ თუმცა არ არსებობს, მაგრამ შეიძლება კი გაჩნდეს, როგორც მთავრობის შორს მჭვრეტელობას ჰგონია.

ჩვენ, ძველ რუსეთის ატმოსფერაში აღზრდილთ, კარგად გვესმის, რას ჰნიშნავს ამგვარი ოპეკუნობა, კარგად ვიცით, რა ცივი სამარის [illegible] მთავრობის ცხოვრების მიმდინარეობისთვის „გულმტკივნეულ“ მზრუნველობას და გრ. ვიტტეს მმართველობისადმი ისეთივე ეჭვი და შიში გვებადება, როგორც წინანდელ მინისტრებისადმი. მართლაც და, განა პოლონეთის ამბების შემდეგ, მოსალოდნელი არ არის, რომ მთავრობამ მოულოდნელად გამოაცხადოს: რადგან რუსეთის ყველა ქალაქებსა და სოფლებში საზოგადო ყრილობებზე ხალხი ხმა-მაღლა იძახის „სოციალიზმს გაუმარჯოს“ და, მთავრობის აზრით კი, საჭიროა ეხლავე სოციალიზმისაგან „გამომფხიზლებული ღონისძიება“ იქნას მიღებული, ამიტომ მთელს რუსეთში „დროებით“ სამარი წესები შემოიღებაო.

ეგრედ წოდებული „დასწრებითი სისტემა“ (**предупредительная система**), რომელმაც პოლონეთში სამარი წესები შემოიღო, მეტად საფუძვლიან შიშს გვიბადებს რუსეთის მცხოვრებთ, რომ 17 ოქტომბრის გამარჯვების ნაყოფი მეტად არა საიმედო მდგომარეობაშია. დიახ, ეჭვი და შიში გვებადება, მაგრამ ჩვენი ეჭვი და შიში შეეხება იმ გარემოებას, რომ რევოლიუცია ევოლიუციად გადაჰქმნას გრაფმა ვიტტემ, და არა იმას, რომ 17 ოქტომბერს გამოცხადებული საფუძველნი სამოქალაქო თავისუფლებისა და კონსტიტუციისა ხელიდან გაგვისხლტეს და დაგვეკარგოს.

* * *

რა ვუწოდოთ?

ჩვენ წინა დღეს სოხუმიდან მიღებული პროკლამაცია ს.-რევოლიუციონერების სოხ. ჯგუფისა, სომეხთა პარტიის „დაშნაკციუტუნის“ და ქართველ სოც.-ფედერალისტების ადგილობრივ კომიტეტებისა. თუმცა ამ განცხადების შინაარსი ჩვენთვის მოულოდნელი არ არის და შიგ მოთხრობილი ამბავი „არ ახალია, ძველია“, მაინც მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. ნუ-თუ შესაწყნარებელია ასეთი „ბრძოლა“? ნუ-თუ ჰგონიათ, რომ ფონს გავლენ იმ საშუალებებით, რომელნიც თვითმპყრობელ ბიუროკრატიისაგან უსესხებიათ?! მაგრამ, კომენტარიებს თავი დავანებოთ ჯერ-ჯერობით. დეე, მკითხველმა საზოგადოებამ თვით დააფასოს ფაქტები! აი, რას ვკითხულობთ ხსენებულს პროკლამაციაში:

> ამდენის წვალებისა და მსხვერპლის შემდეგ მტერს წავგლიჯეთ თავისუფლება და უფლება პიროვნების ხელშეუხებლობისა! 19 ოქტომბერს, ამ თავისუფლების მოპოვების მესამე დღეს,

ხუმში გამართა მიტინგი. ამ მიტინგზე მოხდა აღმაშფოთებელი ამბავი, რომლის მსხვერპლი შეიქმნა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლიუციო პარტიის ერთი წევრი; მოხდა ამბავი, რომელიც პირდაპირ ფეხით გათელვაა ყოველ განათლებულ ადამიანისათვის ძვირფას უფლებათა.

მიტინგის თავმჯდომარის ნებართვით ერთი ხსენებულ პარტიის წევრი ესტრადაზე ავიდა და შეუდგა ლაპარაკს, რომ მსმენელთათვის გაეცნო თავის პარტიის პროგრამა და ამ პარტიის განვითარების ისტორია. ორატორს ჯერ არც კი ეხსენებინა ფედერაცია და ავტონომია, ისე ზოგიერთებმა დაიწყეს ყვირილი „ძირს ავტონომია“. ხოლო ერთს ხალხში მდგარს მეთაურის ჯგუფისას დემონსტრატიულად ეწირა თავი და თავის მომხრეებს ამხედრებდა ძალმომრეობისათვის, რომელიც იმით გამოიხატა, რომ ორატორი საქმით შეურაცხყვეს და ესტრადიდან ძალით გადმოაგდეს. ამ სამარცხვინო ძალმომრეობაში მონაწილეობას იღებდა ორი სხვა ხელმძღვანელიც ჯგუფისა. ერთმა მათგანმა თვითონ ჰკრა ხელი ორატორს, ხოლო მეორე ესტრადიდან ჩამოხტა და ეძგერა ერთ მსმენელთაგანს, რომელიც თავისს გულისწყრომას აცხადებდა ჯგუფის მეთაურთა ასეთის ქცევის გამო.

როგორც ჰხედავთ, მიტინგის გამმართველ სოციალდემოკრატებს მეორე პარტიის წევრის წინააღმდეგ უხმარიათ იგივე იარაღი, რომლითაც ქებულია რუსეთის თვითმპყრობელი ბიუროკრატია: ძალმომრეობა, ყაზახის მათრახი, მუშტი-კრივი...

მაგრამ, იქნება სთქვას ვინმემ: მიტინგი სოციალდემოკრატების იყო და რათ მიდიოდა იქ მეორე პარტიის კაციო. ეს მეტად სუსტი საბუთია, რომლითაც არ შეიძლება ძალმომრეობის გამართლება. მაგრამ, დახედეთ მეორე ფაქტს. ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზ. „ცნობის ფურც.“-ის მახლობელ ნომერში დასტამბოთ შემდეგი: კვირას, 6-ს ნოემბერს, დიდუბეში დავესწარი სოციალ-ფედერალისტთა მიტინგს, რომელიც დასრულდა ნაშუადღევის სამ საათზე. დიდუბის მოედნის მახლობლად, ანდრეევის ქუჩის დასაწყისს რომ კარგა ჩამოსცილდებით, მარჯვნივ სარდაფში ჩავედ სადილის საჭმელად. ვისადილე და, დახლიდარს რომ ნახარჯი მივეცი მაური გავუსწორდი, წინ გადამეღობა ორი კაცი: ერთი ჩოხოსანი, ბორდოსფერი საზამთრო ჩოხა ეცვა, ტან-დაბალი, რგვალი პირისახისა, რომელიც უფრო ღონიერი გამოდგა, ვიდრე მისი ამხანაგი-ხულიგანი. ეს უფრო წარმოსადეგის ტანისა იყო. ეცვა ხალათი დურჯი ფერისა, თეთრ წინწკლებიანი, ზედ პიჯაკი. მუქარით დამეკითხნენ:

— აქეთ სად იყავი?

— კრებაზე, — ვუპასუხე.

— რატომ ჩვენ კრებაზე არ იყავი?

— წინად თქვენს სოციალ-დემოკრატიულ კრებებზე დავიარებოდი, ახლა კი სოციალ-ფედერალისტთა კრებას დავესწარ, რომ უკეთ გავიცნო-შევისწავლო ყველა პარტიათა მოძღვრება-მიმართულება, რათა შემდეგში თვით შემეცნებით ვიხელმძღვანელო.

— ჰაა, თქვენ გინდათ ბატონ-ყმობა შემოიღოთ! — ხალათიანმა დედა შეაგინა ავტონომისტ-ფედერალისტებს და ამასთან ორჯერ ზედი-ზედ მუშტი ამომკრა ნიკაპ ქვეშიდან. ვიგრძენ ენა კბილებ ქვეშ მომყვა, დამეჭრა... მაგრამ არ შევიმჩნიე, ვუთხარ:

— ძალმომრეობა რა საკადრისია! სოციალ-დემოკრატებსაც თანავუგრძნობ, ზოგიერთ მეთაურებს ვიცნობ კიდეც: ბ-ნ. ჟ—ძეს, ბ-ნ. რ—ს და სხვებსაც.

გსურთ წავიდეთ და ჰკითხეთ.

— ააა, შეგეშინდა?! სახელები გაგიგონია და გინდა მოგვატყუილო, თავი იხსნა!

აქ დამიშინა მუშტები, სწვდა ამხანაგი შესაკავებლად, ის კი ილანძღებოდა: გამიშვით — მოვკლაო. იქ მყოფნი ზოგნი იძახდნენ, გაუშვით, ზოგნი, დაიჭირეთ, არ გაუშვათო. მათის ბლდარძუნით ვისარგებლე, დავავლე ხელი დახლზე დავარდნილ ქუდს და გამოვექეც ქართველ-ხუნხუზ-ხულიგანთ.

მივმართავ სოციალ-დემოკრატთა ჭეშმარიტად წრფელს მოღვაწეთ ბ-ნთ ჟ.—სა და ბ-ნ რ—ს, რომელსაც 1884 წლიდან ვიცნობ, და ყველა სხვა პატიოსან მესვეურთ, ჩააგონონ, რომ ასეთი თავხედი უგუნური საქციელი სამარცხვინოა, რომ ამით ჩირქსა სცხებენ და ათახსირებენ პარტიის სახელს.

ნ. ასათიანი.

სხვაც ბევრი გვაქვს ამის მსგავსი ფაქტი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა ახალ თვითმპყრობელთა დასახასიათებლად. ვნახოთ, სანამდის მივლენ. ახლა კი თვითმკითხველთ სთქვან: რა ვუწოდოთ ასეთ „ბრძოლის“ ტაქტიკას?..

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ

ბატონო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის შემწეობით შევიტყეთ მხნე და გაბედულ გურულთა დაზარალება. ამ ამბავმა ძალიან დაგვაღონა. ჩვენ, სადგ. სანდარის მოსამსახურეთ, განურჩევლად უნცროს-უფროსისა, და აგრეთვე ნაცნობ და მეგობართა დახმარებით შევკრიბეთ 40 მან 80 კაპ., რომელსაც აქვე გაახლებთ. შემომწირველთა სია.

რაჟდენ სიმონის ძე ტაბლაძე 5 მან., სერაფიონ ხრისტეფორის ძე ანთაძე 5 მან. ერმილე ნიკოლოზის ძე კოპლატაძე 5 მან., არჩილ სიმონის ძე გუგუშვილი 5 მან., ამბერკი ბიჭიას ძე კალანდაძე 1 მან., ერნესტ ალმენდინგერ 1 მან., რაფიელ მოსეს ძე ანთაძე 1 მან., ასალო ზურაბის ძე დოლიძე 1 მან., ვანო სიმონის ძე კოპლატაძე 50 კაპ., შალვა ასალოს ძე სიხარულიძე 50 კაპ., მინას აკოფოვი 50 კაპ., ვანო არჩილის ძე კოხრეიძე 1 მან., პარასკევ პანაგიოტის ძე ავგერინო 1 მან., პარმენ თომას ძე ლორთქიფანიძე 50 კაპ., იოსებ დავითის ძე ხირტლაძე 50 კაპ., ილიაზ ბალამამედოვ 2 მან., ილია ზაქარიას ძე ოქროპილისძე 50 კაპ., შაქრო პეტრეს ძე მენაბდიშვილი 50 კაპ., იოსებ მელქოს ძე უმიკოვი 50 კაპ., ალია ბაირამოვი 50 კაპ., მოლა დალილ ხალილოღლი 1 მან., ისიდორე ოტიას ძე კალანდაძე 1 მან., სანდრო აროვლეს ძე იოსელიანი 1 მან., გუსეინოვ 30 კაპ., კირილე დავითის ძე ნინუა 1 მან., ხრისტო კავუშიმოვი 50 კაპ., ასტან აგა მურსაგულოვი 2 მან., მინას ნალბანდოვი 50 კაპ., მოშჩინსკი 50 კაპ., არეშოვი 50 კაპ.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად თანაგრძნობა გამოუცხადოთ იმ თავ-განწირულ გურულებს, რომელნიც საყოველთაო თავისუფლების მოსაპოვებლად შეებრძოლნენ ძალმომრეობას. ვაშა იმათ სულ-გრძელობას! ამასთან მე, ივანე კიმუცაძემ, მივმართე ყოველ ჩემს ნაცნობ-ამხანაგებს დაზარალებულ გურულ ოჯახთა დასახმარებლად და მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც ფული მომაწოდეს შეძლებისა დაგვარად. სია შემომწირველთა:

ი. კიმუცაძე 2 მ., გიორგი ზ. დუგუზაშვილი 1 მ., ილიკო ზ. ყარანაშვილი 50 კ., სანდრო ბედიევ 50 მ. გიორგი ზ. გივიშვილი 1 მ., ალექსანდრე ცოფურაშვილი 1 მ., ალექსანდრე ფშაველი 1 მ. ბიქტორ ხუნდაძე 1 მ., რაჟდენ ფრცქელაძე 20 კ. იროდი დოლიძე 20 კ., ვანო ნადირაშვილი 50 კ., ალექსანდრე ბუაძე 50 კ., ივანე ჯღარკავა 50 კ., ვასილ ხოხობოვი 50 კ., იოსებ დ. თურქია 1 მ., გრიგორ ოგანეზოვ. 5 კ., დომენტი გაბუნია 20 კ., თომა არუთინოვი 50 კ., ვასო ხუმარაძე 1 მ., ბაბადუანოვი 1 მ., ალექსანდრე ჩხეიძე 1 მ., ფრანც მატეიუნ 30 კ., სანდრო ზ. აკოფოვი 50 კ., ვანო გოგნიევ 10 კ., ქურა დეკანოზიძე 3 მ., დარჩო თემურაზოვი 10 კ., ბესარიონ ჭკადუა 60 კ., ვანო ხორხაშვილი 30 კ., ნეშრევან სანადირაძე 20 კ., დიმიტრი ხუციძე 40 კ., ნიკო ნადირაშვილი 1 მ., იაგორ ცოფურიშვილი 1 მ., ვასილ ჩლაიძე 1 მ., ილიკო მაჩაიძე 1 მ., გიორგი მაჩაიძე 50 კ., მიხაილ ტოგონიძე 1 მ., ზოსიმე ლებანიძე 50 კ., ვლადიმერ ბესარიონის ძე აბდუშელიშვილი 1 მ., ნიკოლოზ სტაჯაძე 50 კ., ანტონ შავარდენიძე 50 კ., ექვთიმე დავირევიშვილი 1 მ., სონიჩკა ჩხეიძე 50 კ., კარაპეტ სააკოვი და გრიგორ დავიდოვ 1 მ., ვანო ალხანაშვილი 20 კ. სულ 31 მ.— 35 კაპ.

ბ-ნო რედაქტორო! ჩვენის ქვეყნის საუკეთესო ნაწილის — გურიის უსამართლოდ აწიოკებით აღშფოთებულებმა მივმართეთ რამდენსამე თანამგრძნობს, რომელთაც სიამოვნებით გაიღეს თავიანთი წვლილი. ამასთან ჩვენ, ნ. გ. ჯაფარიძე და ვ. ბ. გოთუა, გაახლებთ 66 მან. და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ, დაზარალებულ მამაც გურულთა სასარგებლოდ. სია შემომწირველთა:

ქავჭანიძე და გველესიანი 5 მან. მაისურაძე და ხოჯაფარუხოვი 5 მან. გ. ს. აბულაძე 5 მან. ვალ. ცინძაძე 5 მან. ი. მ. სარაევი 3 მან. ე. გულაზოვი 3 მან. ვ. გოთუა 2 მან. ს. ლომტანიძე 2 მან. ე. ვაჩეიშვილი 2 მან. ვართანოვი 2 მან. ჩილინგაროვი 2 მან. ჯავახოვი 2 მან. თ. ბაბილაძე 2 მან. აღბაშოვი 2 მან. პ. მირველოვი 2 მან. გ. ცატუროვი 2 მან. არუთინოვი და შალამოვი 2 მ. ს. აბაზოვი 2 მან. ნ. ჩიკვაიძე 2 მან. ავეტისოვი 2 მან. ნ. ჯაფარიძე 1 მან. ალ. მეიფარიანი 1 მ. გრ. გრიგოლაშვილი 1 მან. ვ. ჩუთუმოვი 1 მან. გ. ბაადუროვი 1 მან. ლ. ანთაძისა 1 მან. ს. ივანეიშვილი 1 მან. ს. გულიევი 1 მან. ბახჩიევი და ტერ-მატუსოვი 1 მან. ს. ოგანეზოვი 50 კ. ა. სარქისოვი 50 კ. ა. კანდახსაზოვი 50 კ. გ. ფალაროვი 50 კ. ს. ტერ-აკოფოვი 50 კ. ნ. მატინოვი 50 კ.

ამას გარდა შემოიტანეს: სილვესტრ გ. კვაიჭაძემ — 25 მან., პორფირე ყ. ხუნდაძემ — 10 მან. და ნატალია კალატოზიშვილისამ — 1. მ. 50 კაპ.

სულ ჩვენს რედაქციაში დაზარალებულთა სასარგებლოდ დღემდე შემოვიდა 661 მ. 75 კაპ.

ახალი ამბავი

✦ **არეულობა ლეჩხუმში.** ქუთაისიდან გვწერენ: დეპეშით უკვე გაცნობეთ, რომ ლეჩხუმში არეულობაა. რამ გამოიწვია ეს არეულობა ან ვინ არის ჩარეული ამ საქმეში, ჯერ-ჯერობით ნამდვილი არავინ იცის. მიზეზი არ ცოდნისა ის არის, რომ ფოსტის მიმოსვლა ლეჩხუმსა და ქუთაისს შორის შეწყვეტილია და ტელეგრაფით ნამდვილი ვერა გავიგეთ-რა. გურიის ამბავმა ჭკუა გვასწავლა, რომ ქალაქში დაყრილ ხმებზე დავამყაროთ ჩვენი ცნობები, და ამიტომ გატყობინებთ იმას, რაც ნამდვილად ვიცით: რაჭიდან გადმოსული ბრბო თავს დასხმია პოლიციის დარაჯების ბინას ჭრებალოში და დარაჯებისათვის თოფები წაურთმევია. იგივე ბრბო თავს დასხმია ალ. გელოვანის სახლს, აუკლია და იარაღი წაუღია. მეორე დღეს იარაღის წართმევა განუზრახავთ ალპანაში დაბინავებულ პოლიციის დარაჯებისათვის, რომელთაც წინადვე გაუგიათ ეს განზრახვა და იარაღითა და პატრონებით გაპარულან. მაზრის უფროსს, ამით დაშინებულს, პატარ-პატარა ბინები დარაჯებისა მოუხსნია და დარაჯები ერთად შეუკრებია. რაკი დარაჯების ბინები მოსპობილია, ფოსტამაც შესწყვიტა მოძრაობა რაჭა-ლეჩხუმსა და ქუთაისს შუა. საომარ წესების დროს გენერალ-გუბერნატორმა მიშკოვსკიმ ნახევარი სოტნა ყაზახი გაჰგზავნა ლეჩხუმში.

✦ **ოზურგეთი.** გუშინ, 5 ნოემბერს, პირველად მოვიდა ფოსტა 20 დღის გაფიცვის შემდეგ. მრავალი ხალხი მიაწყდა ფოსტის შენობას, სადაც ორი მოხელე თითქმის დალამებამდის იძლეოდნენ წერილებს. მარტო წერილები 11 ფუთი მოვიდაო, ამბობენ. გუშინ და დღეს სიწყნარეა. გაზეთებს გაფაციცებით კითხულობენ ჯგუფ-ჯგუფად შეყრილნი. თუმცა საომარ დროის წესები ახსნილია, მაგრამ აქა-იქ პლასტუნების რაზმები მაინც დადიან.

✦ **ოზურგეთის მაზრის უფროსის გადადგომა.** ჩვენ გავიგეთ, რომ ოზურგეთის მაზრის უფროსი, უკვე ცნობილი ლაზარენკო სამსახურიდან გადადგომას აპირებს. ეტყობა, ეხლა მიხვდა ბ-ნი ლაზარენკო, რომ იმისი დარჩენა გურიაში, მას შემდეგ რაც მოხდა, შეუძლებელია.

✦ **მაზრის უფროსის არ მიღება.** ყაზახის მაზრის უფროსად ნამყოფი არნოლდი სენაკის მაზრაში დანიშნეს. ჩვენ შევიტყეთ, რომ გუბერნატორმა სტაროსელსკიმ არ იყაბულა მაზრის უფროსის დანიშვნა ტფილისიდან და შუამდგომლობა აღძრა, რომ განკარგულება არნოლდის დანიშვნის შესახებ გააბათილონ.

✦ **მაზრის უფროსების გადაყვანა.** გორის მაზრის უფროსის თანაშემწედ ნამყოფმა ცნობილმა ბესარიონ გოგოხიამ ცხოვრების ახალ სიოს ველარ გაუძლო და უფრო მყუდრო ბინა მოსძებნა. იგი გამწესებულ იქმნა მთიულეთში თიონეთის მაზრის უფროსად, ხოლო იქაური უფროსი ლეონტიევი გორის მაზრაში გადაიყვანეს.

✦ **პოლ. ალფტანგის დაბრუნება.** ქართლიდან პოლკოვნიკი ალფტანგი უკვე დაბრუნდა ახალ-ციხეში თავის თანამდებობაზე ტენგინის პოლკში.

✦ **სამსახურიდან გადადგომა.** გორის მაზრაში ამას წინად საგანგებოდ გაგზავნილი ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწე ე. დ. გუგუშვილი სამსახურს თავს ანებებს.

✦ **ქალაქის მცხოვრებთა მიტინგი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მომავალ კვირას გამართოს მიტინგი და მცხოვრებთ განსახილველად წარუდგინოს საკითხი ხმოსანთა ახალ არჩევნების შესახებ საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრით. ამ საკითხს პრინციპიალურად გადასწყვეტს ქალაქის საბჭო 10 ნოემბერს.

✦ **სას. სემინარიის რეფორმა.** ტფ. სასულიერო სემინარიის და სასწავლებლის პედაგოგთა კორპორაციამ განიხილა და მოიწონა სენაკის სასულიერო სასწავლებლის პროექტი რეფორმის შესახებ. ამ პროექტით სასწავლებელი და სემინარიის ოთხი კლასი უნდა შეეფარდოს გიმნაზიის რვა კლასს. სწავლა დამთავრებულთ შეეძლებათ შესვლა როგორც აკადემიასა, ისე უნივერსიტეტში. სამღვდელოთათვის იქნება საღვთისმეტყველო კურსები. რაც შეეხება სწავლების ენას, იგი დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ რა ეროვნებას ეკუთვნიან მოსწავლენი.

✦ **„ვირი და ბულბული“.** ტფ. სასულიერო სემინარიის საბჭოს სხდომაზე საბჭოსავე წევრს კ. ცინცაძეს განუცხადებია, რომ სამღვდელოებამ უსათუოდ ფაქტიური კონტროლი უნდა გაუწიოს სემინარიის საბჭოს და მის განკარგულებანი ასწონ-დასწონოს ხოლმეო. ამაზე რექტორს უპასუხნია: „თქვენი ნათქვამი სიტყვები მაგონებს ერთ იგავს, როდესაც ბულბული მღეროდა და დიდყურა სულდგმული კი ყურს უგდებდაო“, ე. ი. სამღვდელოება უკანასკნელ სულდგმულად დასახა. მღ. ცინცაძეს პროტესტი განუცხადებია და წევრობაზედაც უარი უთქვამს. საბჭოსვე წევრს მასწავლებელს რჟაევსკის კი ეპასუხნა, რასა გწყინთ, მ. კალისტრატე, ეხლა ხომ სიტყვის თავისუფლებააო... რექტორი მიხვდარიყო მალე თავის შეცდომას და ბოდიშის წერილი მიეწერა მღ. ცინცაძისათვის. სამღვდელოებამ, გაიგო რა ეს საქმე, წინადადება მისცა მღ. ცინცაძეს დაწვრილებით განაცხადოს საჯაროდ საქმის ვითარება. აი, ესეც ერთი ნიმუში მოსწავლე ახალგაზდობის უვიც უფროსთა თავგასულობისა. ნუ თუ ასეთი ადამიანები სასწავლებლის სათავეში უნდა იდგნენ.

✦ **რეზოლიუცია საბალოსნო სკოლის მოწაფეთა.** „ჩვენ, მოწაფენი საბალოსნო სკოლისა, ვექვემდებარებით რა დანარჩენ მოწაფეთა დადგენილებას, შევდივართ სკოლაში არა სასწავლებლად რაღაც ყალბ სა-

ფელეტონი

თანამედროვე მოძრაობა და სამღვდელოება.

III *)

რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი სამღვდელოება?

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დღევანდელი ჩვენი სამღვდელოების გამაუკუღმართებელი მიზეზი ორგვარია: პოლიტიკური და ეროვნული. სამღვდელოება დაშორებულია ხალხს, რადგან თვითონ ბიუროკრატიაზეა მიჯაჭვული და, მასთანავე, უცხო ტომის ბიუროკრატიაზე, სინოდის საშუალებით. პირველი გარემოება მას აშორებს ხალხთან სოციალურ-პოლიტიკურად; მეორე გარემოება კი ამ დაშორებას კიდევ უფრო აძლიერებს, რადგან ხელს უწყობს სამღვდელოების გადაგვარებას, მის ეროვნულ ხასიათის დაკარგვას, და ხალხთან ეროვნულადაც აშორებს. ამ ორ-სახოვან მიზეზის გამო ჩვენი სამღვდელოება დღეს აღარც ეროვნულია და აღარც ხალხური. მაშასადამე საჭიროა იგი გახდეს ეროვნული (ნაციონალური) და თან ხალხური (დემოკრატიული).

მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ ამ მიზანს?

„მწყემსის“ უსახელო თანამშრომელი გვეუბნება, რომ რუსეთთან შეერთებამდე ჩვენის სამღვდელოების ნაყოფიერ „თვით-მოქმედების სულის ჩამდგმელი იყო საკუთარი კათალიკოზი და თავისუფლება ეკკლესიისაო“. თუ ამ ფრაზას მომავლის თვალ-საზრისით შევხედავთ, ადვილად დავასკვნით, რომ, ავტორის აზრით, ერთად-ერთი ხსნა „ეკკლესიის თავისუფლებაში“ უნდა ვეძიოთ. მაგრამ ეკლესიის თავისუფლება ორგვარია: ეროვნული და პოლიტიკურ-სოციალური. ავტორი კი არ გვეუბნება გარკვევით, თუ როგორს თავისუფლებას გულის-ხმობს იგი. თუ სახეში იმ ეპოქას მივიღებთ, რომელზედაც ის გვითითებს, საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ იგი ეკკლესიის ეროვნულ თავისუფლებას უნდა გულისხმობდეს, რადგან, როგორც ზემოდ დავინახეთ, იმ დროს ჩვენი სამღვდელოება მხოლოდ ეროვნულად იყო თავისუფალი, ე. ი. არც ერთს უცხოეთის ეკლესიის არ ექვემდებარებოდა, — პოლიტიკურ-სოციალურად კი იგი ფეოდალურ მთავრობის მოკავშირე გაბატონებულ ჯგუფს წარმოადგენდა. მაშასადამე, თუ ავტორის რჩევა ავასრულეთ, ჩვენ გვექნება ეკლესია ეროვნული და არა დემოკრატიული, ხალხური.

ამიტომ, თუ გვსურს ჩვენს კითხვაზე სრული პასუხი მივიღოთ, საჭიროა უსახელო ავტორის აზრს შევუერთოთ ბ-ნ ივანე გომართელის აზრი ამავე საგნის შესახებ. „ხალხს უნდა იმგვარი სამღვდელოებაო, — ამბობს გომართელი, რომელიც ხალხს უდგეს გვერდში და მხოლოდ ხალხს ემსახურებოდეს, მხოლოდ ხალხის ინტერესებს იცავდეს. ყოველსავე ამას სამღვდელოება შესძლებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თავისუფალი და სრულებით დამოუკიდებელი გახდება. დღევანდელი სამღვდელოება ბიუროკრატიის მონა და მოსამსახურეა; ის ხალხს-კი არ ემსახურება, არამედ ბიუროკრატიას, და სწორედ აქ არის მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ხალხსა და სამღვდელოების შორის ხიდი ჩატეხილაო“.

ამრიგად, საჭიროა ჩვენი სამღვდელოება, ერთის მხრით, განთავისუფლდეს ეროვნულად, ე. ი. რუსეთის ეკლესიისაგან აღარ იყო დამოკიდებული; ხოლო, მეორეს მხრით, დამოუკიდებელი გახდეს პოლიტიკურადაც, ე. ი. ჩამოშორდეს ბიუროკრატიას და პირდაპირ ხალხთაგან დამოკიდებული გახდეს.

ბ-ნ ი. გომართელის აზრით, „სამღვდელოების განთავისუფლება შეუძლებელია ისე, თუ მთელი ხალხი არ განთავისუფლდა, თუ არსებული რეჟიმი მთლად არ შეიცვალა... სამღვდელოების საკითხი მთელი ხალხის საკითხია და ცალკე მისი გადაწყვეტა შეუძლებელია; შეუძლებელია რაიმე საშუალებით სამღვდელოების აღდგენა ხალხის თვალში ისე, თუ არსებული რეჟიმი არ შეიცვალა. ამიტომ დროა სამღვდელოება ხალხს ამოუდგეს გვერდში, ხალხს დაეხმაროს მთელის თავის ძალღონით ბიუროკრატიის დამარცხებაში; ამით აღადგენს იგი თავის სახელს და მოიპოვებს შესაფერ ადგილს ხალხის ცხოვრებაშიო“.

სრული ჭეშმარიტებაა, რომ „სამღვდელოების საკითხი მთელი ხალხის საკითხია“, რამდენადაც სამღვდელოებას არ შეუძლია თავი გაინთავისუფლოს, თუ მას გვერდში ხალხი არ ამოუდგა და ეკლესიური თავისუფლება არ მოითხოვა. მართალია, აგრეთვე, რომ საუკეთესო პირობა სამღვდელოებისა და ეკკლესიის სრულ განთავისუფლებისათვის არსებულ „რეჟიმის“ ანუ სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ძირიანად შეცვლაა. მაგრამ, თუ მხედველობაში დღევანდელს პირობებს მივიღებთ, თუ განგებ თვალს არ ავარიდებთ იმ მწარე სინამდვილეს, რომელიც თვალწინ გვაქვს გადაშლილი, ადვილად მივხვდებით, რომ დღესდღეობით ეკლესიის „სრულს“ და უნაკლულო განთავისუფლებაზე მხოლოდ ფიქრი და ოცნებობა შეიძლება, თორემ იმის პრაქტიკულად განხორციელებაზე სახალხოთ ლაპარაკიც-კი შეუძლებელია. ამიტომ იძულებულნი ვართ აქაც არსებულს ვითარებას შევეხამოთ და, სანამ რაიმე პრაქტიკულ გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, წინდაწინვე გავითვალისწინოთ, თუ რისი გაკეთება შეიძლება არსებულ პირობებში და რის გაკეთების იმედი უნდა ვიქონიოთ. მაგრამ, სანამ ამ საგნის გამორკვევას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ერთს გარემოებას მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

ზემოდ განგებ ხაზი გავუსვით ბ. ი. გომართელის სიტყვებს: დროა სამღვდელოება ხალხს ამოუდგეს გვერდში და ბიუროკრატიის დამარცხებაში დაეხმაროსო, „ამით აღადგენს იგი თავის სახელს და მოიპოვებს შესაფერ ადგილს ხალხის თვალშიო“. ეს სიტყვები რამოდენადმე გვაგონებს „მწყემსის“ უსახელო თანამშრომლის შემდეგს სიტყვებს: ვინ დაუშლის ჩვენს სამღვდელოებას სულიერად განახლების გზას დაადგეს და წინაპართამებრ სათაყვანებელი შექმნეს მთელ ქართველ ერისათვისაო“.

უეჭველია, ყოველი მკითხველი ამ სიტყვებიდან იმ დასკვნას გამოიტანს, თითქოს ჩვენს სამღვდელოებაში დაწყებულს მოძრაობას მიზნად, თუ განსაკუთრებით არა, უმთავრესად მაინც ჩვენის სამღვდელოების „სახელის აღდგენა“ და ერის ცხოვრებაში იმისთვის უკეთეს „მდგომარეობის“ მოპოვება შეადგენდეს. ქართულ ინტელიგენტს კიდევ ეპატიება, თუ იგი ჩვენის სამღვდელოების დღევანდელ მოძრაობაში მხოლოდ ამ ერთს „უმთავრეს“ მოტივს ხედავს. მაგრამ ძლიერ სამწუხაროა, როცა სასულიერო გაზეთის ფურცლებზედაც მსგავსსავე და უფრო მეტათაც გაზვიადებულ შეხედულებას ვკითხულობთ. მართლაც, ნუ თუ ჩვენის სამღვდელოების დღევანდელ მოძრაობის დედა-აზრი „წინაპართაებრ სათაყვანებელ სახელის“ მოპოვებაა და არა სხვა რომლისამე, უფრო საპატიო დემოკრატიულ-პროგრესიულ საზოგადოებრივ მდგომარეობის დამყარება. თუ ამ მოძრაობის უმთავრესი მიზანი მხოლოდ სამღვდელოების „სახელის“ გაკეთებაა, მაშინ ტყუილად იმედოვნებს სამღვდელოება, იგი ვერსად თანაგრძნობას ვერა ჰპოვებს; და ინტელიგენციისთვისაც დიდად სასირცხო იქნება ასეთ მოძრაობას მხარი დაუჭიროს ან სერიოზულად ყურადღება მიაქციოს.

მაგრამ საქმე ასე არ არის.

რამდენადაც ჩაკვირვებული ვართ, აღნიშნულ მოძრაობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ასე გვაქვს წარმოდგენილი. როგორც არა ერთ გზის შეგვინიშნავს, დღემდე ჩვენი სამღვდელოება, ბიუროკრატიასთან ერთად, ხალხის სოციალურ ცხოვრებაში მეტად არა სიმპატიურ როლს ასრულებდა: თავის მდგომარეობით და განუვითარებლობით იგი წინ ელობებოდა ყოველგვარ პროგრესიულ აზრს, პროგრესიულ საქმის განხორციელებას, რომელიც-კი ხალხის უმრავლესობის კეთილ-დღეობისაკენ იყო მიმართული. და მსგავსსავე ხალხის დამაბრკოლებელ, პროგრესის უკან დამხევ ჯგუფად დარჩება ჩვენი სამღვდელოება დღეის შემდეგაც, თუ მან ახალ დროის შესაფერად მიმართულება და მდგომარეობა არ შეიცვალა. ამიტომ გამოყვანა სამღვდელოებისა ამ საუკუღმართო მდგომარეობიდან და ხალხთან მისი დაკავშირება, მისი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „გახალხურება“ — გადემოკრატება, — ეს ისეთი სადღეისო და აუცილებელი საქმეა, რომლის სახალხო და საეროვნო მნიშვნელობის უარ-ყოფა და მისი მარტო წოდებრივ, მხოლოდ სამღვდელოების კერძო საქმედ გამოცხადება დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს; პროგრესს ემსახურებიან არა მარტო დადებითის ძალების გაძლიერებით, არამედ უარ-ყოფითის ძალების მოსპობითაც, — ხოლო, სადაც მათი მოსპობა არ შეიძლება, შესუსტებით.

მართალია, რამდენადაც სამღვდელოება ბიუროკრატიას ჩამოშორდება, იმდენად იგი ხალხს დაუახლოვდება და მეტს ნდობას მოიპოვებს, იმის თვალში ამაღლდება და სიყვარულს დაიმსახურებს; მართალია ისიც, რომ ჩვენის სამღვდელოების ზოგიერთ წევრს აღნიშნული მოძრაობა უმთავრესად ამ წოდებრივ სარგებლობის მხრივ უღვიძებს იმედებს და იწვევს სამოქმედოდ. მაგრამ ცხოვრების არ მცოდნე უნდა იყოს ქართველი ინტელიგენტი, რომ სამღვდელოებაში დაწყებულ მოძრაობას ამ უკანასკნელ მიზნის (სამღვდელოების „სახელის“ აღდგენის) გულისათვის მისცეს მხარი და თანაგრძნობა გაუწიოს. არა, სამღვდელოების საკითხი მარტო წოდებრივი საქმე არაა; სამღვდელოებაში დაწყებულ მოძრაობას მარტო სამღვდელოების „სახელის აღდგენისათვის“ არა აქვს მნიშვნელობა. მისი უმთავრესი დანიშნულება, მისი საგულისხმო და ყველა შეგნებულ ქართველისათვის თანასწორად საინტერესო მხარე უფრო ფართო ეროვნულ-საზოგადოებრივ ხასიათისაა. მას აზრადა აქვს ჩვენს ეროვნულსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას პროგრესის გზიდან ჩამოაცალოს გაბიუროკრატებულ გადაგვარებული სამღვდელოება და იმის ნაცვლად მხარში ამოუყენოს სამღვდელოება ეროვნული და დემოკრატიული, თვით ხალხის მიერ არჩეული და მისის კონტროლის ქვეშ მყოფი.

ვალსამონი.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „ცნობ. ფურ.“ № 2936

ბუთებზე აგებულ საგნებისა, არამედ საბრძოლველ ორგანიზაციის შესადგენად და რუსეთის განმათავისუფლებელ მებრძოლთა ჯარის მისაცემად. ამასთან ერთად ვადგენთ ჩვენს მოსაზრებას ზოგიერთ ცვლილების შესახებ, რომელიც ამ სასწავლებელში უნდა მოხდეს.“ აქვე მოყვანილია ეს მოთხოვნილებაც. 1. სამუშაო დროს 1 საათით შემცირება და 2. სამკითხველო-წიგნთ-საცავის ახალ ჟურნალ-გაზეთებით შევსება.

✦ **სამამასახლისოების შეერთება.** ტფ. მაზრის ლისის სამამასახლისო, რომელიც ოთხის სოფლისაგან შესდგებოდა, ახალის წესით შეუერთდა დიღომის სამამასახლისოს; ხოლო ბერთუბანის სამამასახლისო პატარძეულისას შეუერთდა. დანარჩენი საზოგადოებები ამ მაზრაში უწინდელს მდგომარეობაში არიან.

✦ როდესაც გენერალი თავ. ჭავჭავაძე კახეთში გაჰზავნეს გლეხთა დასამშვიდებლად, ბევრ სოფლის საზოგადოებებს სურვილი განუცხადებია, სოფლებში არჩეული კაცები იყოლიონ. ამორჩეულთა რიცხვი ექვსიდან თორმეტამდის უნდა ყოფილიყო; ესენი დახურულის კენჭის ყრით უნდა აერჩიათ. მათი მოვალეობა იქნებოდა სოფლებში მოპარულ ნივთების მონახვა, ქურდების აღმოჩენა და ამ ქურდების ქონებიდან სამოქალაქო წესით ყოველისავე ზარალის აღდგენა. ეს უმაღლეს მთავრობას მოუწონებია და ეხლახან წინადადება მიუცია საგუბერნიო მთავრობისთვის, წარუდგინოს თავისი მოსაზრება.

✦ **ცენზურის გაუქმება.** ბათუმში ადგილობრივ გაზეთის ცენზურა მხოლოდ ეხლა გააუქმეს.

✦ **სამსახურიდან გადადგომა.** განჯის გენერალ-გუბერნატორი თაყაიშვილი „ნ. ო.“-ს სიტყვით, თავს ანებებს თანამდებობას.

✦ **ფოსტის მოხელეთა დადგენილება.** ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ დაადგინეს, შეუერთდნენ სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის კავშირს.

✦ **დარაჯების თავგასულობა.** რკინის გზის საქონლის სადგურზე დღევანდლამდე ყარაულად სდგას 15 შეიარაღებული ლეკი. უბედურება ის არის, რომ ყარაულები მუდამ მთვრალნი არიან და აწუხებენ არა მარტო გამვლელ-გამომვლელ დედაკაცებს, არამედ მამაკაცებსაც-კი. ამ დღეებში მუშებმა საჩივარი წარუდგინეს რკინის გზის გამგეობას და მოსთხოვეს, რომ ეს თავაშვებული დარაჯები წაიყვანოს.

✦ **არტისტთა მიტინგი.** სცენის მოღვაწეთა დასებმა ამას წინად აარჩიეს ორ-ორი დელეგატები და დაავალეს იმ პროგრამის შემუშავება, რომელიც სცენის მოღვაწეთა მიტინგმა უნდა განიხილოს. დელეგატებმა უკვე შეადგინეს პროგრამა და დაადგინეს სთხოვონ საარტისტო საზოგადოების გამგეობას, დაუთმოს 16 ნოემბრისათვის დარბაზი.

✦ **პურ-ღვინო.** პურ-ღვინოს რესტორანიდან ჯარი გაიყვანეს და პატრონი ხელახლა შეუდგა რესტორანის მოწყობას. მამინაიშვილმა სთხოვა ნ. ა. სულთან-კრიმგირეის, მთავრობამ ერთი კაცი დანიშნოს ზარალის შესაფასებლად. თითონ მამინაიშვილის ანგარიშით ზარალი 15,000 ათას მანეთამდეა.

✦ **ყაზახების თარეში.** ქართლის სოფელ შინდისიდან გვატყობინებენ: თუმცა კარგა ხანია გამოცხადდა ეგზეკუციების მოხსნის ამბავი, მაგრამ ყაზახები ჯერ კიდევ დგანან ზემო ნიქოზსა, ფხვენისსა და სხვაგან. ყაზახები ჩვეულებრივად დანავარდობენ სოფლებში და ხალხი კვლავინდებურ ტანჯვაშიაო.

✦ **ბეგარა.** გურიიდან დაბრუნებულ ჯარის გადასაყვანად ბელიკლიუჩსა და მანგლისში ტფილისის მაზრიდან გამოიყვანეს 300 ურემი და 100 ცხენი.

✦ **ჯარის კაცები ქუჩებში.** თუმცა ტფილისში საომარი წესები გაუქმდა, მაგრამ ქალაქს ღამ-ღამობით საომარ დროის ელფერი ადევს. პოლიციელების სადგომ ადგილებზე ჯარის კაცები დგანან და პოლიციელებს სდარაჯობენ.

✦ **ქალაქი უფქვილოდ.** ამ ჟამად ტფილისში დიდი ნაკლებობაა ფქვილისა. მალე ფქვილი სრულიად გამოილევა.

✦ **ნამესტნიკმა ნება არ დართო** ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა დელეგატებს ინჟინერ კურაბცოვს და ფოსტის მოხელე კვერკველაძეს სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კრებაზე წასვლისა. მიუხედავად ამისა კვერკველაძე თავის ნებით მაინც გაემგზავრა რუსეთს.

✦ **მკვლელობა.** 7 ნოემბერს ბაქოს ქუჩაზე მცხოვრები ქალი პერევოზნიკოვისა სტუმრად ყოფილა დივიზიის ექიმ ჟილინსკისთან და როცა იქიდან დაბრუნებულა, თან ექიმის „დენშჩიკი“ გამოუყოლებია. როცა ქალი თავის სახლში შედიოდა და დენშჩიკი გამობრუნებას აპირებდა, საიდანღაც გავარდნილა თოფი და სალდათი იქვე მომკვდარა.

✦ **სად წავიდა ხორცის დუქნების ფული?** ქალაქის დუქნების გამგედ ნამყოფმა ჩილინგარიანმა განუცხადა გამგეობას, რომ კომისიის ბუხჰალტერზე სერუმიანზე ითვლება 850 მან. 32 კაპ., მოხელე ვართანიანცმა გაჰფლანგა 1500 მან; ბეითალს კანცელმახერს წაღებული აქვს 587 მან. ემინოვს 104 მან. და სხვ. გამგეობამ დაადგინა, პასუხის გებაში მისცეს ვართანიანცი, ხოლო დანარჩენთ შეეკითხოს, რა უყვეს ფული. (?)

✦ **კრება ფონდის შესახებ.** ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის წინადადების შესახებ მოსალაპარაკებლად კრება დანიშნულია დღეს საღამოს სამეურნეო ბანკის სადგომში და არა „ცნ. ფ.“-ის რედაქციაში, როგორც გუშინ გვქონდა შეცდომით დაბეჭდილი.

✦ წარსულ კვირას ჩვენი გაზეთის ახალ ამბავში მოთავსებული გვქონდა, რომ ავჭალის ქუჩაზე, პოლიციელმა დოკოლაშვილმა, უდანაშაულო კაცი შეიპყრო და რევოლვერის დამუქრებით პოლიციის მე-9 ნაწილში დაუპირა წაყვანაო. ამ ამბავს შემთხვევით წააწყდნენ „წიგ. გამომც. ქართ. ამხ.“ სტამბის მუშები და მათ დაუწყეს დარიგება. მაგრამ მათაც სროლით დაემუქრა, მაშინ ყველა ეს მუშები ერთად წავიდნენ პოლიციის ნაწილში და ბოქაულს სთხოვეს თავხედ პოლიციელის დათხოვნაო. როგორც ეხლა შევიტყეთ, პოლიცმეისტერის განკარგულებით, პოლიციელი დოკოლაშვილი უკვე დაუთხოვნიათ.

✦ სართიჭალის ბოქაული იბოლენსკი და ბორჩალოს მაზრის ბოქაული ავალიშვილი გადაყვანილ იქმნენ ერთი მეორის ადგილზე.

✦ საბაღოსნო სკოლა იჯარით იღებს ქვემო-ავჭალაში ექიმ ი. გ. მელიქოვის დიდ ნაჭერ მიწას შენობებით, სადაც სკოლის გამგეობა აპირებს სანერგეების გამართვას ამერიკულ ვაზებისა და ხეხილებისათვის.

✦ საგლეხო საკრებულოს წევრმა გერარდიმ თხოვნა მისცა ქუთაისის გუბერნატორს სამსახურიდან გადადგომის შესახებ. იმის ადგილზე ნიშნავენ, როგორც შევიტყეთ, ამავე დაწესებულების მდივანს კ. კოცირიძეს, რომელიც 15 წელიწადზე მეტია, რაც ამ თანამდებობას ასრულებს.

ხვალინდელ №-თან გამოვა **სურათებიანი დამატება** № 360, რომელშიაც მოთავსებული იქნება მოთხრობა „დიმიტრი იაგორიჩის მდგომარეობა“; სურათები: რედ. „ვოზროჟდენიე“-ს სადგომის აკლება 22 ოქტომბერს (3 სურათი); მიტინგები ტფილისში და სხვა და სხვა კარრიკატურები.

ქუთაისის ამბები

✦ საომარ დროის წესები აიხსნა. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. უმრავლესობა, დიდი უმრავლესობა, კმაყოფილია, რომ მოქალაქობრივი ცხოვრება განახლდა, მაგრამ, როგორც სხვა მრავალ საქმეში, აქაც არის უმცირესობა, რომელიც სტირის და გოდებს იმ ბედნიერ დღის დაკარგვას, როცა ქალაქის ქუჩებში ყაზახები დაიარებოდნენ და მშვიდობიან მოქალაქეთ სტაცებდნენ, რასაც კი მოახელებდნენ. სტირიან იმიტომ, რომ უამისოდ წესიერების დამყარება ვერ წარმოუდგენიათ. ამას წინად ქუთაისის სადგურის უფროსის თანაშემწე მიჰკლეს. მიზეზი მკვლელობისა, როგორც აღმოჩნდა, ისა ყოფილა, რომ მოკლული არ დამორჩილებია ამხანაგების გაფიცვას. ამისთანა მკვლელობა ეხლა ხშირია და არავის მოსდის ისეთი აზრი თავში, როგორც ერთ სამხედრო სამსახურში მყოფ კაცს მოუვიდა, როცა მკვლელობის დროს სხვებთან ერთად მისულიყო. „ამისთანა მკვლელობის მოსპობა ადვილი საქმეაო—სთქვა სამხედრო კაცმა.—ყოველ ამნაირ მკვლელობის შემდეგ, ორასი ბლუზაში გამოწყობილი უნდა ანაცვალო და მაშინ ვეღარ გაბედავენ ასეთ თავხედობასაო“. ბევრი დამსწრე მოხელე აიცქმუტა ასეთმა განცხადებამ სამხედრო კაცისამ, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. ასეთია ბატონებო, იმ უმცირესობის აზრი, რომელიც საომარ წესების მოსპობას თავს დასტირის.

✦ ერთი კვირა არ გასტანა საომარმა წესმა ქუთაისში და თავის ნაყოფი მოიტანა. ხულიგანების თარეშობას ძარცვა-გლეჯის საქმეში შეწყობილი ბანი მისცა ჯარისკაცობამ და დადგა ნამდვილი ალა-მაჰმად ხანის დრო. დღე ერია იყო და საჩივარი ათასი. პირდაპირ ურცხვად შედიოდნენ მაღაზიაში და რაც მოეწონებოდათ, მიჰქონდათ. თუ ვინმე გაბედავდა ხმის ამოღებას, პასუხად მათრახს უჩვენებდნენ. ღამ-ღამობით ხომ შეუძლებელი გახდა ქუჩაში გავლა. ვინც-კი მოჰხვდებოდათ, შინჯავდნენ და თუ ძვირფას რამეს მოჰკრავდნენ თვალს, ფული იქნებოდა იგი თუ ნივთი,ართმევდნენ. საომარ წესის ახსნის დღეს რამდენიმე საჩივარი მოუვიდა გუბერნატორს ვაჭართაგან, მოსწავლეთაგან და კერძო პირთაგან ყაზახების თავგასულობის შესახებ. რამდენიმე საქმე გამომძიებელს გადაეცა.

✦ გუშინ კრება ჰქონდათ ქუთაისის პედაგოგებს. თავმჯდომარეობდა სათავად-აზნაურო გიმნაზიის ინსპექტორი ოცხელი. საგანი კრებისა იყო ეხლანდელი მდგომარეობა სწავლა-განათლების საქმისა. ბევრი მჭევრ-მეტყველი სიტყვა წარმოითქვა წარსულ რეჟიმზე, რომელიც სულისმხუთავივით ავიწროვებდა განათლების საქმეს და სკოლა - განათლების ტაძრის მაგივრად—ბიუროკრატიულ დაწესებულებად გარდაჰქმნა. ყველამ ერთ ხმად აღიარა, წარსული უნდა ჩაიქოლოს და სკოლას ახალი, ცხოველმყოფელი გზა უნდა მიეცესო. ამისათვის შეკრებილებმა საჭიროდ აღიარეს: დროგამოშვებით კრებები პედაგოგებისა, განახლება სწავლისა, ავტონომია სკოლისა მასწავლებლებისა და დირექტორის არჩევის საქმეში, პროგრამის გადასინჯვა და შეცვლა აწინდელ ცხოვრების მოთხოვნილების თანახმად და სხ. დილის დაწყებული კრება ნაშუადღევის 4 საათზე გათავდა.

✦ რეალურ სასწავლებლის შენობის გვერდით, წულუკიძის და მდივნის სახლში, ნამდვილი ყაზარმები გაიმართა. აქ დაბინავებულია ყაზახთა ბატარეა და ქვეითა ჯარის ერთი როტა. მეზობლობა ჯარისა სასწავლებელთან ეხლანდელ დროში სასიამოვნო არ არის, რადგან შესაძლებელია უბრალო შემთხვევამ არა სასურველი შეტაკება გამოიწვიოს. პედაგოგების კრებამ გაითვალისწინა ეს გარემოება და რამდენსამე კაცს მიანდო ამ საგანზე გუბერნატორთან მოლაპარაკება.

✦ ოქტომბრის 20-ს, ადგილობრივ სახელმწიფო ქონებათა გამგეს პავლოვსკის თავს დაეცნენ ავაზაკები იმ აზრით, რომ ამ დღეს აღებული ჯამაგირი—წაერთმიათ. ამ დროს ქუჩაში ხალხი გამოჩნდა, არც თითონ პავლოვსკი შეშინდა და ავაზაკებმა ვერაფერი წაიღეს. ასეთი საქციელი გასაკიცხავია, მაგრამ არ შემიძლია არ გაცნობოთ ის, რაც გავიგონე მრავალთაგან ბ-ნ პავლოვსკის შესახებ. ხელ-ქვეითნი პავლოვსკისა, განსაკუთრებით ქართველნი, უკმაყოფილონი თურმე არიან სასტიკობისა და უსამართლო მოქცევისათვის. რუსის დაწესებულება,—უთქვამს ბ-ნ პავლოვსკის,—რუსთათვის უნდა იყოს და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადგილი განთავისუფლდა სახელმწიფო ქონებათა მმართველობაში, არც ერთი ქართველი არ დანიშნა, და კავკავსა და ერევნიდან იბარებს თავის თანამშრომლებს. როგორაც სჩანს, ბ-ნ პავლოვსკის ეხლანდელი დროისა არა გაეგება-რა და თავისი თავი წარსულ საუკუნეში ჰგონია.

ტფილისის ქალაქის საქმეები

7 ნოემბერი

ამ დღესაც დიდძალი ხალხი მიაწყდა საბჭოს და კამათშიაც მონაწილეობა მიიღო. ლაპარაკი იყო ისევ ხმ. ხუდადოვის წინადადებაზე, რომელიც ახალ არჩევნებს შეეხება.

ილაპარაკა ხმ. ევანგულოვმა და სთქვა, ეხლანდელი ხმოსნები მთელი ქალაქის ინტერესების დამცველები არ არიანო. მაგალითად შემდეგი მოიყვანა: ქალაქმა 600,000 მან. მიიღო ქუჩების მოსაკირწლავად. ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა წინადადება შეიტანა, რომ ამ 600,000 მანეთით ქალაქის განაპირა ქუჩები მოეკირწლათ. ხმ. ა. ს. ბაბოვმა მოხსენება წარუდგინა საბჭოს, რომ ეს ფული ქალაქის შუაგულ ადგილების გამშვენიერებას უნდა მოხმარდესო.

ხმოსნები ახმაურდნენ, ხალხიდან ხმა მაღლა გაიძახოდნენ—ნება მიეცით ევანგულოვსაო. ხმ. ა. ბაბოვი აღელვებულის ხმით იძახდა: ხმოსანი ევანგულოვი სტყუის! ბ-ნო ევანგულოვო! სად არის ანგარიში ქალაქის დუქნებისა, სად და რაში დაიხარჯა 95,000 მან. რატომ ანგარიშს არ იძლევითო. ხმაურობა უფრო გაძლიერდა. ბოლოს, როგორც იქმნა, თავმჯდომარემ დააშოშმინა ხალხი და ხმ. ევანგულოვმა განაგრძო. ორატორმა კარგა ხანს ილაპარაკა და დაამთავრა იმით, რომ ხმოსნის აზრით, ხუდადოვის წინადადება არ უნდა განხორციელდესო. მაგრამ როგორ? ეს-კი, ჩემის აზრით, ისე უნდა მოხდეს, როგორც გურულები მოიქცნენ. მათ საქმე გადასწყვიტეს, შემდეგ ბ-ნი სტაროსელსკი ტფილისში გამოგზავნეს და სისხლის დაუღვრელად განახორციელეს პრინციპი შინაურ თვითმმართველობისაო.

კარგა ხანს ილაპარაკა ხმ. თავ. მიქელაძემაც. უმთავრესად ხმოსანი შეეხო იმ საკითხს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს წინადადება საყოველთაო არჩევნების საქმის შესახებ. ხმ. სთქვა, ჯერ დამიმტკიცონ ორატორებმა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა ისეთს ფაზისშია, რომ საბჭოს შეუძლიან კანონები გამოსცეს და მე პირველი გამოვალ ეხლავე მაგ საქმის განსახორციელებლად. მაგრამ ასე არ არის. ეხლანდელი კანონები ცხოვრებისათვის აღარ ვარგა. ახალმა ცხოვრებამ ახალი კანონები მოითხოვა და ვიდრე ახალი კანონები არ გამოცემულა, როგორ შეგვიძლია საქმის განხორციელებაო?

ხმ. ხატისოვმა ნახევარი საათი ილაპარაკა. ხმოსანმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ძალა ერთობაშია და თქვენ-კი არღვევთ ამ ერთობას, როცა კლასიურ ინტერესების დასაცველად საკითხებს აყენებთო. საზოგადოდ მთელ სიტყვას ლექციის ხასიათი ჰქონდა, გაკვეთილები წაიკითხა და არსებითად-კი თავისი აზრი არ გამოსთქვა.

ხმ. ხუდადოვმა მოაგონა საბჭოს თავის წინადადების შინაარსი და სთქვა, ძველი ხმოსნები უნდა ჩამოვეცალოთ, რომ ხალხმა საუკეთესო წარმომადგენლები აირჩიოს. მოიყვანა მაგალითები, თუ როგორ სატანჯველში ჩააგდო საბჭომ ნაძალადევის მცხოვრებნი. ჯერ ნება არ მისცა მუშა ხალხს დასახლებულიყო ქალაქის ამ ნაწილში, შემდეგ დართო ნება, მაგრამ ისევ უარი უთხრა. კარგად გვახსოვს, როგორ თავზე დაანგრიეს ნაძალადეველთ ბევრის ტანჯვით აშენებული სახლები. იჯარა უნდა გვეხდევინებინა 10 კაპ., ამ ჟამად-კი 42 კაპ., მეტსაც ვახდევინებთ ერთ საჟენ მიწაშიო.

კარგა ხანს ილაპარაკა ის. რამიშვილმა. სხვათა შორის, სთქვა: რას შეუშფოთებია, რას აუღელვებია ჩვენი ხმოსნები? ვისგან იცავენ თავს, რა ატირებთ, რაში იმართლებენ თავს? მიზეზი სულ უბრალოა. ხალხი გამოფხიზლდა, წამოაყენა ახალი საკითხები და მათ განსახორციელებლად ხალხი რევოლიუციისათვის შემზადა. ეხლანდელი ხმოსნები არ გამოდგებიან ახალ ცხოვრებისათვის და თქვენ პირდაპირის პასუხის ნაცვლად რაღაც ლათაიებს მოჰყევით და გაიძახით, მოვიცადოთ, სახელმწიფო საბჭო გამოგვიგზავნის, რაც გვეჭირვებაო. თუ უნდა საბჭოს ცოტაოდენი სამსახური გაუწიოს ქალაქს, ხმოსნები უნდა დარჩნენ თავიანთ ადგილზე და ამ ნაირად განაგრძონ მოქმედება: მოიწვიონ მცხოვრებნი და ჰკითხონ, რა უნდათ, რას ფიქრობენ. საბჭომ უნდა მოაწყოს კრებები და მოახდინოს არჩევნები. აი მაშინ თავის თავად თქვენ ჩამოეცლებით და ისინი მოვლენ აქ, ვინც ნამდვილს პატრონობას გაუწევს ქალაქსაო. შემდეგ ილაპარაკა კიდევ 10-მდე ორატორმა. ყველანი დაწვრილებით არჩევდნენ ხმოსნების სიტყვებს და უარს ჰყოფდნენ მათ მოსაზრებას.

ღამის 1 საათი შესრულდა, რომ კამათი დასრულდა. ხმოსანთაგან მარტო 10 კაცი დარჩა. ამის გამო თავმჯდომარემ სხდომის გაგრძელება ხუთშაბათისათვის გადასდო და გამოაცხადა, ამ დღეს საკითხს პირდაპირ დავაყენებ გადასაწყვეტადაო.

ქუთაისში საომარ წესების შემოღება და გაუქმება

(წერილი ქუთაისიდან)

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რა ხრიკები იხმარა ოზურგეთის მაზრის უფროსმა ლაზარენკომ ჯარის ჩასაყვანად და გურიის ასაკლებად. ამ ვაჟბატონმა კარგად იცოდა, რომ ადვილად ვერ მოიგებდა ქუთაისის გუბერნატორის გულს და ბათუმის გენერალ-გუბერნატორსაც აცნობა თავის გულის ნადები და თან ჯარსა და ზარბაზნებს სთხოვდა.

საქმე კარგად გამოიანგარიშა ლაზარენკომ, მაგრამ ერთი რამ დაავიწყდა—გურულების წინდახედულობა, გონების სიმკვირცხლე და იშვიათი ორგანიზაცია და ერთსულობა. შიკრიკებმა ვერ მიაღწიეს მიზანს და ლაზარენკოს „ოტნოშენიები“ და „ლაპორტები“ ისევ გურიაში განისვენებდნენ.

ამის მცოდნე გურულები საგონებელს ჩავარდნენ და მზადებას შეუდგნენ იმ შემთხვევისათვის, როცა მაზრის ადმინისტრაცია ომს გამოაცხადებდა. ომიც მალე გამოცხადდა—ლაზარენკო ჩოხატაურს წავიდა ყაზახებით.

რაც მოხდა ჩოხატაურს, თქვენ უკვე იცით და ამიტომ რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია საომარ დროის წესების შემოღება.

სტაროსელსკის და მის თანაშემწის ყოფშიძის რეჟიმი ქუთაისში და მთელს იმერეთში ბევრს არ მოსწონდა. ჟანდარმერია, პროკურატორა, ადგილობრივი მოხელენი, დიდი მემამულენი—ყველა სტაროსელსკის მოღალატეთა და სოციალისტად სთვლიდნენ.

პირდაპირი თანაშემწენი სტაროსელსკისა, ორიოდეს გარდა, თანაგრძნობისა და თანამშრომლობის მაგივრად, ხელს უშლიდნენ მის მოღვაწეობას და ზოგიერთი მათგანი შესაფერ „დანოსსაც“ ჰგზავნიდა უსიამოვნო გუბერნატორის შესახებ. ამას ზედ დაურთეთ ლაზარენკოს მსგავსი მოქმედება და ადვილად მიხვდებით, რა ძნელი იყო სტაროსელსკის მოღვაწეობა.

ამავე დროს აქედან მოდიოდა ნამდვილთან შეუფერებელი და ერთი მეორეზე ახირებული და ფანტასტიური ამბები. მთავრობის ის ნაწილი, რომელსაც სტაროსელსკის მოღვაწეობა გულს უხეთქავდა, ხელზე იხვევდა ყოველივეს, და ბოლოს, როცა დრო იპოვნეს, დატრიალდნენ და იმერეთში საომარი წესები გამოაცხადეს.

მაგრამ მოსტყუვდნენ; გურიის ამბავმა დაგვანახა, ჭეშმარიტი გულშემატკივრობა სტაროსელსკისა ხალხის მიმართ და ხალხმაც უფრო მეტად დააფასა ამ დროსთვის იშვიათი ადმინისტრატორი.

თქვენს გაზეთში უკვე აღნიშნული იყო, რა ალტაცებით მიიღეს და მერე გააცილეს ქუთაისის გუბერნატორი ტფილისის სადგურზე უკან დაბრუნებისას. ასეთის შეხვედრით და მრავალის სიტყვებით აღელვებულმა ვ. ა. სტაროსელსკიმ შეკრებილთ მიჰმართა.

„ბატონებო! ჩემი ღვაწლი ისეთი დიდი არ არის, როგორც თქვენ აფასებთ. მე მხოლოდ ნამდვილი სურათი დავუხატე ნამესტნიკს ქუთაისის გუბერნიის და კერძოდ გურიის შესახებ და ეს საკმაო იყო, რომ მას სამხედრო წესები აეხსნა; ამიტომ მადლობის ღირსი ის არის და არა მე. 17 ოქტომბრის მანიფესტით, თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, კავშირისა შეძლებას გაძლევთ, პარლამენტარულის წესით განავითაროთ მომავალში პოლიტიკური ცხოვრება თქვენის იდეალების მისაღწევად ერთსულობა, რომელმაც შეაკავშირა ყველა წოდება საზოგადოებისა ქართლსა და იმერეთში, მრავალი დეპუტაცია, ნამესტნიკთან გაგზავნილი, გამოწყობა სამტრედიის მიტინგის ინიციატივით საგანგებო მატარებლისა, რომლითაც მე ჩამოველ, ვითარცა მცხოვრებთა დელეგატი ყველა ეს მოწმობს, რომ მოქალაქობრივი შეგნება ჩვენში უმაღლეს ხარისხამდე განვითარდა. საჭიროდ მიმაჩნია თქვენს წინაშე უღრმესი მადლობა გადავუხადო იმ პირთ, რომელთაც მატარებელი გამომიწყეს აქ ჩამოსასვლელად და ჩემს თანამგზავრებს, იმათ, ვინც გურიაში მოგზაურობის დროს ხელი შეუწყო გურიის ნამდვილი ვითარების გაგებაში და ამით გურიის დიდი უბედურება ააცილა თავიდან“.

ბ-ნ სტაროსელსკის სიტყვას ხალხი „ვაშასა“ და „ურას“ ძახილით მიეგება და მატარებელი ნელა დაიძრა. შეკრებილნი ვაშას ძახილით და მუსიკით მატარებელს თან გაჰყვნენ, ვიდრე რკინის გზის სახელოსნოებთან არ გაჩერდა. აქაც მრავალი ხალხი შეკრებილიყო. აქაც მრავალი სიტყვები და ოვაციები არგუნეს ბ-ნ სტაროსელსკის.

მატარებელი დაიძრა, ხალხი არ დაშლილა იქამდის, ვიდრე მატარებელი არ მიიმალა თვალთაგან.

იმ სადგურებს გარდა, საცა ჯარი დგას, ყველგან მრავალი ხალხი დაჰხვდა გუბერნატორს. შეკრებილთა უმრავლესობას შეადგენდნენ რკინის გზის მოსამსახურენი.

ხაშურსა და ზესტაფონში სტაროსელსკის შესახვედრად მრავალი ხალხი შეკრებილიყო.

მოლითი, მარელისი და ხარაგაული ჩირაღდნებით იყო განათებული; ვისაც ჩირაღდანი ვერ გაეკეთებინა, ანთებული სანთელი და კვარი ეჭირა ხელში.

საღამოს 9 საათზე ვ. სტაროსელსკი ქუთაისს ჩავიდა. **კლდე.**

პატარა ფელეტონი

ტოროლა

(ბრეტონული ლეგენდა)

იმ დღეს მზე ბრწყინვალედ აშუქებდა. ცხოველს მყოფელი სხივები დიად მნათობისა ელერსებოდნენ ბედნიერ დედა-მიწას. ყოველი ცხოველი არსება შეჰხაროდა ცის მშვენიერს ლამპარს და უგალობდა აღფრთოვანებულს ჰიმნს.

აგერ მზემ დაიხარა და დიდებულად ჩაეშვა. გარს შემოეხვივნენ, თითქოს კოცნა უნდათო, თეთრი, სპეტაკი ღრუბლები და მსწრაფლ გაწითლდნენ. უკანასკნელი სხივი გამოესალმა დედამიწას და ღრუბლები გაშავდნენ, თითქოს სწუხანო, რომ მოსიყვარულე მნათობმა ობლად დასტოვა თავისი მოტრფიალენი.

ღვთაებრივი ღამე დაეშვა დედა-მიწაზედ. ადამიანები ტკბილ ძილს მიეცნენ. ოქროს სიზმრები ჩამოფრინდნენ და დაუტკბეს ადამიანთ ძილი. ყველა ბედნიერად გრძნობდა თავის თავს...

დადგა ჟამი გაღვიძებისა. თვალი გაახილეს ადამიანებმა და შეძრწუნდნენ. ირგვლივ ბნელოდა. გავიდა ერთი საათი, გავიდა მეორე... სიბნელე თანდათან ძლიერდებოდა. უკუნეთმა, საშინელმა უკუნეთმა მოიცვა არე-მარე. მიხვდნენ მაშინ ადამიანნი, რომ დაჰკარგეს წყარო სინათლისა; მიხვდნენ მაშინ ადამიანნი, რომ მოესპოთ წყარო სიცოცხლისა. ოხვრით და გულდამწველ ტირილით მოიდო მთელი ქვეყანა. ერთი დღის წინაც ბედნიერნი ეხლა უბედურნი გახდნენ.

ხმაურობით, ხელების ფათურით როგორც იყო შეიკრიბნენ ერთად საბრალონი და იწყეს სჯა, თუ როგორ იპოვონ, დაიბრუნონ მზე. ტყუილი, ფუჭი იყო ყოველივე თათბირი. არავინ არ იცოდა, სად დაიკარგა მზე, ვერავინ ვერ მოეგონა საშუალება იმის პოვნისა. უბედურთა საზარელმა ქვითინმა შეანძრია ცა, მაგრამ შველა არსად იყო...

გავიდა კვირა, თვე, წელიწადი. ადამიანები შეეჩვივნენ უკუნეთს. ზოგი კიდევაც ამტკიცებდა, რომ უკუნეთი სჯობს სინათლეს, რადგან სხივები არა სჭრიან თვალებს. შეუყვარდათ უკუნეთი და ვინც გაბედავდა მზისთვის ოხვრას, მზის ქებას, მყისვე ქვებით ჩაჰქოლავდნენ.

ადამიანები ტყის ნადირებს დაემზგავსნენ..

იმ უბედურ დილას, როცა მზე დაიკარგა, გამოიღვიძა პატარა ტოროლამაც. უკვე მოემზადა, რომ ფრთა ფრთას შემოეკრა, მაღლა ჰაერში ასრიალებულიყო, რათა სიმღერით მიჰგებებოდა ამომავალ მზეს და ეხარებინა დედამიწისათვის ნათელ დღის დაწყება, მაგრამ.. შავ უკუნეთს დაემალა ლურჯი ცა.

შეშინდა პატარა ტოროლა.

ტოროლა მიჩვეული იყო ბანაობას მზის თბილ სხივებში და იმიტომ უფრო საზარელი იყო მისთვის ირგვლივ მოფენილი უკუნეთი. ტოროლა ცოცხლობდა სინათლით...

მწარე ფიქრები დატრიალდა ჩიტუნიას პატარა თავში. ტოროლა დარწმუნებული იყო, რომ მზე დამალულია სადღაც, მაგრამ როგორ მოძებნოს იმან, პატარა ჩიტმა...

დიდხანს ფიქრობდა ტოროლა.

უკუნეთი უფრო და უფრო აწვებოდა ლოდივით გულს და სულს უხუთავდა.

არა, ან სიკვდილი, ან მზის სხივები! გადასწყვიტა ტოროლამ. შემოჰკრა ფთაფთას და გასჭრა უკუნეთი.

მიფრინავს ტოროლა. მაღლა ადის. იქაც უკუნეთია, მაგრამ ტოროლა არა ჰკარგავს იმედს...

აგერ უკუნეთი თითქოს შეთხელდა! აგერ სხივი ოდნავ გამოსჭვივის... გამარჯვება, გამარჯვება! მზე აქ არის!

მიდის ზევით ტოროლა. გაპო უკუნეთი და შევარდა მზის ელვარე სხივებში. სიმღერა სიხარულისა, სიმღერა გამარჯვებისა გაისმა ზეციდან. ტოროლა მღეროდა და ახარებდა დედამიწას, რომ მზე არ დაკარგულა, ცოცხალია.

გაისმა სიმღერა და მზე დიდებულად კვლავ ამოვიდა დედა-მიწაზე. მისი სხივები უფრო ძლიერ ელვარებდნენ. გამოცვივდნენ მინდორზე ადამიანები და კვლავ სიხარულით მიეგებნენ ცის მნათობს...

გზის ნაპირას კი ეგდო უსულო გვამი პატარა ჩიტისა. ის გვამი იყო ტოროლასი. საბრალომ ფრთები დაიწვა ელვარე მზის სხივებში და ჩამოვარდა დედამიწაზე ცივ გვამად. სიხარულით აღსავსე ადამიანები მიდიოდნენ იმის ახლო და არავინ ფიქრობდა, რომ პატარა ჩიტმა კვლავ აანთო დედამიწაზე დაკარგული მნათობი. **ყვავი**

რუსეთი

ადმინისტრაციისა და ხულიგანების მეგობრობა. ტომსკის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ აცნობა იუსტიციის მინისტრს, რომ ოქტომბრის აკლების დროს ტომსკში გუბერნატორს არავითარი ზომები არ მიუღია, პოლიცმეისტერმა კიდევ განაცხადა, ავადა ვარო და ისიც არამოქმედება აკლების წინააღმდეგ. ოლქის სასამართლოს პროკურორი კი სისხლის ღვრის დროს სადღაც გაიქრა.

დონის-როსტოვის გრადონაჩალნიკმა ფონ-პილხაუმ წინადადება მიიღო სამსახურს თავი დაანებოს. ამ ადმინისტრატორმა ებრაელების აკლების დროს არავითარი ზომები არ მიიღო, პირიქით, ხულიგანებს ხელსაც უწყობდა.

პუტილოვის ქარხანაში შავი რაზმის წარმომადგენელნი ავრცელებდნენ მოწოდებებს „ურიების, ინტელიგენტების და ხელმწიფის ყველა მოწინააღმდეგების“ ამოსახოცად. დანამდვილებით ამბობენ, რომ ადგილობრივი პოლიცია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ შავ-რაზმთა ორგანიზაცია შეადგინოს; იგი უმასპინძლდება ხულიგანებს და უწოდებს „ერთგულ მოქმედებისათვის“.

თავის დაცვა. პეტერბურგში ადგილობრივ ფარმაცევტებს თავის დასაცველად შეუდგენიათ შეიარაღებული რაზმი.

პეტერბურგშივე შესდგა სტუდენტთა შეიარაღებული რაზმები. ესენი ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში დგანან ხულიგანებისაგან ინტელიგენციისა, სტუდენტების და ებრაელების დასაცველად. ქალაქში სტუდენტთა პატრულები დადიან, რომ მოიხმონ რაზმები, სადაც კი საჭირო იქნება.

28 ოქტომბერს, კავშირთა კავშირმა, სხვათა შორის, განიხილა საკითხი საქალაქო მილიციის დაარსების შესახებ. პროექტი მილიციისა შედგენილია განსაკუთრებულ კომისიის მიერ მუშათა დეპუტატების მონაწილეობით და შესდგება შემდეგში: არსდება კომისია 10 კაცისაგან; ამათში 5 ქალაქის საბჭოს მიერ იქნება დანიშნული და 5 კავშირთა კავშირის მიერ. ეს კომისია განიხილავს გეგმას. ქალაქი გაიყოფა რაიონებად; თითო რაონში თითო რაზმი იდგება. რაზმის 10 წევრი ერთად ამოირჩევს ერთ ათის თავს. ათის თავები ამოირჩევენ ასის თავს. უკანასკნელნი კი რაიონის მამასახლისს. ამ მილიციის სასარგებლოდ ხალხში უკვე ფულს ჰკრებენ.

მოსკოვში ამ ჟამად იარაღის გაყიდვა დაუბრკოლებლად ჰხდება. იარაღს ყიდულობენ თავის დასაცავად. ამიტომ მაღაზიებში იარაღი თითქმის სულ აღარ არის. მოსკოვში პეტროვკის მაღაზიის პატრონებმა და მათმა მოსამსახურეებმა დაადგინეს, შეადგინონ თავის დასაცავი რაზმები. გადასწყვიტეს დააწესონ მორიგეობა დღისით და ღამით. დღისით მორიგად იქნება 30 კაცი, ღამით—50 კაცი.

პეტერბურგის ქალაქის საბჭოსათვის სტუდენტთა წარმომადგენელთ მოუთხოვნიათ საქალაქო მილიციის დაარსება. სტუდენტები საჭიროდ სთვლიდნენ, ქალაქმა იარაღი დაურიგოს სტუდენტებს. საბჭომ უპასუხა, რომ საქალაქო მილიციის დაარსებაზე ახლო მომავალში ექმნება სჯა და მაშინ გადასწყდება ისიც, მოიწვევენ თუ არა სტუდენტობას. პროექტი მილიციის დაარსებისა შემდეგია: ან მთავრობამ პოლიცია უნდა ქალაქს გადასცეს, ან შესდგება მცველთა რაზმი, რომელიც 40 ხმოსანთა კომიტეტს უნდა ემორჩილებოდეს. მილიციის წევრებად იქნებიან 4 კლასიან სკოლაში სწავლა-დამთავრებულნი, წლოვანობით 25—40-მდეა. ჯამაგირად თითოს 25 მანეთი ექმნება თვეში. შემოღებული იქნება აგრეთვე ასის თავებისა და ათის თავების თანამდებობა.

გაპონის დაბრუნება. ამნისტიის ძალით მღვდლად ნამყოფი გიორგი გაპონი მალე პეტერბურგს დაბრუნდება.

ახალ პარტიის ახალი გაზეთი. ერთი თვის შემდეგ ან პეტერბურგსა ან მოსკოვში გამოვა ოფიციალური ორგანო კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულ პარტიისა, ყოველ დღიური პოლიტიკური გაზეთი მილიუკოვისა და სტრუვეს („ოსვობოჟდენიე“-ს რედაქტორი) რედაქტორობით. ნებართვა უკვე მიღებულია.

გრაფი ვიტტე და ეხლანდელი მოძრაობა. ვიტტემ ამას წინად მიიღო პოლონეთის წარმომადგენლები და უთხრა: „ტყუილად გგონიათ, რომ მთავრობა უძლურია, რომ ეშინიან აჯანყებისა და იმიტომ უთმობს ხალხს. პოლონეთში ეხლა საომარ წესის გამოცხადებაა განზრახული. რაც შეეხება რუსებს, აშკარადა სჩანს სრული მოუმზადებლობა რეფორმებისათვის. რუსის საზოგადოებას სრულიად არა სურს არავითარი თავისუფლება. ჩვენ ეხლა აშკარად ვხედავთ, რომ ეს მხოლოდ რევოლიუციონერთა ჯგუფის სურვილია. რუსეთში დადგა გაზაფხული. მართალია ეს გაზაფხული უფრო ცხოველია, ვიდრე სვიატოპოლკ-მირსკის დროს იყო, მაგრამ გახსოვდეთ, რომ იგი შესაძლოა რეაქციამ შესცვალოს და მაშინ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.“

დროებითი მმართველობა. როგორც „ნ. ფრ. პრეს“-ს სწერს, ირკუტსკის გენ.-გუბერნატორს უცნობებია პეტერბურგში, რომ ირკუტსკში დროებითი მმართველობა დაარსდაო. ამ მიზეზით იქ საომარ დროის წესები შემოიღეს.

აფიცრების დაპატიმრება. ამ ბოლო დროს გვარდიის აფიცრების დატუსაღება ძალიან გახშირდა. (რუს. გაზ.).

8 **საათის მუშაობა.** პეტერბურგში ყველა ქარხნებში შემოიღეს 8 საათის სამუშაო დღე.

აფიცერთა წერილი. „სინ ოტეჩესტვა“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი არტილერიის აფიცერთა ჯგუფისა: „ამ ბოლო დროს განსაცვიფრებელი მაგალითი გვაჩვენა პოლიციისა და ჯარის მოქმედებისა, რომელთაც წინამძღოლობდნენ გონება ბნელი აფიცრები. ამ აფიცრების თვალწინ ხდება მკვლელობა უიარაღო ხალხისა. სამხედრო პატიოსნება ვერ მოითმენს ამგვარ მოქმედებას. ხალხის დაწვა ტომსკში, სტუდენტების ხოცვა პეტერბურგში, ებრაელების აკლება ყველას თვალწინ მოხდა. ყოველ კაცისა და მამულიშვილის და აგრეთვე აფიცრის ვალია სიცოცხლის გაწირვა და დაცვა ამ მსხვერპლებისა. ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, მამულის შვილთ-აფიცერთ, რომელთაც კი ასე ესმით თავის მოვალეობა, შევერთდეთ და გამოვთქვათ ჩვენი აზრი ახდილად, ჯერ-ჯერობით ძალ-მომრეობის წინამძღოლთა დასარიგებლად“.

წერილები.

თელავი. საყოველთაო გაფიცვის გამო 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის ამბავი გავიგეთ მხოლოდ კერძო პირებისაგან, რომელთაც სხვა და სხვა შინაარსის დეპეშა მოუვიდათ ტფილისიდან და სწორედ არავინ იცოდა, რაში იყო საქმე; მხოლოდ მეორე დღეს საღამოთი ტფილისიდან მოიტანეს ცალი მანიფესტისა, „ვოზრაჟდენიეს“ დამატება; რადგან ერთი ცალი ყველას არ გასწვდებოდა, ზოგიერთებმა მოიწადინეს მისი გადაბეჭდვა, მაგრამ სტამბაში უარი განუცხადეს პოლიციის შეუმოწმებლად და არც პოლიციამ დართო ნება მანიფესტის გადაბეჭდვისა. ამისათვის მხოლოდ გაზეთების გამოსვლის შემდეგ გაიგო ყველამ შინაარსი.

24 ოქტომბერს თელავის დიდი ფაცი-ფუცი და მომზადება ეტყობოდა, ყველას გაეგო, 25-დან გაფიცვა უნდა დაიწყოსო და ისე ემზადებოდნენ, როგორც აღდგომისათვის. მართლაც 25-დან დაიწყო საერთო გაფიცვა, რითაც მხარი დაუჭირეს საყოველთაო გაფიცვას და თანაგრძნობა გამოუცხადეს სამხედრო ბევრის მოსახდენად ჯარში გაწვეულთ. თუმცა 25-ში იყო დანიშნული კენჭის ყრა თელავიდან და ზემო სოფლებიდან გაწვეულთათვის, მაგრამ არავინ გამოცხადებულა.

გაფიცვის დროს დილა საღამოთი იმართებოდა მიტინგები და სიტყვებს ამბობდნენ. 26 ოქტომბერს გამართეს დემონსტრაცია. დილიდანვე ყველა, დიდი თუ პატარა, შეიკრიბა ნადიკვარზე, აქედან კაემართა მარსელიეზას სიმღერით. სამაზრო პოლიციის სამმართველოს რომ გაუთანასწორდნენ, ამართეს წითელი დროშები და ასე სიმღერით გასწიეს ბაზრისაკენ. თითქმის მთელი თელავის უმთავრესი ქუჩები შემოიარეს, გზა და გზა დგებოდნენ და სიტყვებს ამბობდნენ. აქვე არ შევეიძლიან არ აღვნიშნოთ ორივე პარტიის უადგილო მოქმედება ერთმანეთის წინააღმდეგ. საქმე იქამდე მივიდა, რომ კინაღამ ქვები და ნაგავი არ იხმარეს.

მეორე დღესაც მრავლად შეიკრიბა ხალხი. ქართველ და სომხის სამღვდელოებამ ცალ-ცალკე პანაშვიდები გადაიხადეს 22 ოქტომბერს ტფილისში უდანაშაულო მსხვერპლთა სულის მოსახსენებლად, მერე გავიდნენ მოედანზე წითელის ბაირაღებით, წარმოსთქვეს სიტყვები და რევოლიუციონურ სიმღერებით გამოსწიეს ბაღისაკენ და აქ დაიშალნენ.

28 ოქტომბერს გაფიცვა აიხსნა და თელავის ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. გაფიცვის დროს არც ერთ სასწავლებელში სწავლა არ სწარმოებდა და 26 ოქტომბერს ხომ პურის დუქნები და აფთიაქი დაკეტილი იყო. არც თვითმმართველობის სამმართველოში იყო მეცადინეობა.

დამსწრე

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

სიღნაღი, 7 ნოემბერი. აქაურ თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ დაადგინა ფულით შემწეობა აღმოუჩინოს დაზარალებულ გურულებს. ამის გარდა გაიმართა ხელის მოწერა გურულთათვისვე ფულის შესაკრებად.

ქუთაისი, 7 ნოემბერი. გაიფიცნენ სასამართლო დაწესებულების მოხელე-მოსამსახურენი და წარადგინეს მოთხოვნები თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

კიევი, 7 ნოემბერი. აქ გაიხსნა პირველი პოლიტიკური კლუბი პოლონელებისა. უნივერსიტეტი დაიკეტა მომავალ წლის იანვრამდე. ქართველ სტუდენტთა უმრავლესობა სამშობლოში მოდის.

სტუდენტთა კრებამ დაადგინა, ბოიკოტი გამოუცხადოს უნივერსიტეტის პროფესორს და საბჭოს ხმოსანს ეიხელმანს. ამ პროფესორმა საბჭოში კენჭის ყრის დროს ხმა მისცა იმ წინადადებას, რომ ჯარს, რომელმაც 18 ოქტომბერს, მანიფესტის გამოცხადების დღეს, უდანაშაულო ხალხი ამოჟლიტა, მადლობა გამოუცხადოს. კრებამ დაადგინა აგრეთვე, მოითხოვოს ხსენებულ პროფესორის დათხოვნა უნივერსიტეტიდან. გაზეთ „კიევლიანინს“ ექიმებმა, ვექილებმა, პროფესორებმა, სტუდენტებმა და არტისტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს პროვოკატორობისა და ხულიგანების მფარველობისთვის.

მესამე ნაწილის მოსამართლემ საქმის გარჩევის დროს ებრაელს უთხრა: თქვენ ღირსნი ხართ ხოცვა-ჟლეტისა და აკლებისა, რადგან წითელის დროშებით დადიოდითო. პროკურორმა განმარტება მოსთხოვა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 ნოემბერი

ჩიტა, 6 ნოემბერი. ტომსკში დაძარცული ქონება აქ გამოატარეს მძარცველებმა, რომელთაგან ბევრი მანჯურიაში გადავიდა და ბევრიც ჩიტაში დარჩა, სადაც ისინი გამოიცნეს. ქალაქი დაანაწილეს დასაცველად. გუბერნატორმა ყველა ზომები მიიღო.

სტარიოსკოლი. გლეხების არეულობა ძლიერდება. დაიწვა 17 კარ-მიდამო. მოვიდა ერთი ასეული ქვეითებისა და ერთიც ყაზახ-რუსებისა.

ვლადივასტოკი, 6 ნოემბერი. ქალაქს გამოცოცხლება ეტყობა, თუმცა უცხოეთის გემების გადმოტვირთვას ჯერ არ შესდგომიან. ჯარში არეულობა წყნარდება ლინევიჩის ბრძანების წყალობით, რომლითაც განკარგულება მოახდინა, დაუყოვნებლივ დაითხოვონ 5,000 ჯარის კაცი სათადარიგოთ და ყველა ძველი სათადარიგონი პრიამურიისა. საშინელ სურათს წარმოადგენს დანგრეული ქალაქი. დაარსდა კომიტეტი დაზიანებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად. ჩინელებმა თავი შეაფარეს გემებზე. ბევრი წავიდნენ. სანოვაგე არაა.

ვარშავა. 7 ნოემბერი. დილით მეჩექმე ებრაელთან სამი უცნობი პირნი მივიდნენ და ფული მოსთხოვეს, ვითომდა სოციალისტურ პარტიისათვის; მათ უთხრა ებრაელმა, რომ ფული ეხლა არა აქვს და საღამოსთვის მოუმზადებს. უცნობები მოვიდნენ საღამოს და, რა დაინახეს ოთახში ებრაელების მთელი ჯგუფი, სროლა დაუწყეს მათ და სამი კაცი დასჭრეს. ერთი თავდამსხმელთაგანი დაიჭირეს.

კანეია. მეამბოხეთა რაზმმა ფუნესის მეთაურობით 338 თოფი და 19 ყუთი პატრონა ჩააბარა რუსებსა და ინგლისელებს.

სანსერვანი. ინგლისის გემი „ხილდა“, სოუდგამპტონიდან მომავალი, კლდეს წააწყდა, დაიღუპა 123 კაცი, გადარჩა 5.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 ნოემბერი.

მოსკოვი, 6 ნოემბერი. ქალაქებისა და ერობების წარმომადგენელთა სიეზდზე თავი მოიყარა 300-მდე წევრმა. სიეზდი გაიხსნა გოლოვინის სიტყვით. გოლოვინმა განმარტა, თუ როგორი პოზიცია უნდა დაიჭირონ ქალაქებმა და ერობებმა თანამედროვე ამბების შესახებ და გამონახონ ზომები ქვეყნის დასამშვიდებლად. როდიჩევმა და სხვებმა სთქვეს, რომ ვიტტეს პროგრამასთან შეიძლება შეთანხმება, თუ იგი უზრუნველჰყოფს ყველა თავისუფლებების ცხოვრებაში გატარებასა და საყოველთაო საარჩევნო უფლებას შემოიღებს. მთავრობას არ შეუძლია უარი გვითხრას ამ უფლებაზე. გრაფმა გეიდენმა სთქვა, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს საარჩევნო სისტემას და საჭიროდ არა სცნობს დამფუძნებელ კრების მოწვევას. მაგრამ საჭიროა—განაგრძობს იგი, რომ მთავრობამ აღიაროს კონსტიტუცია, და შემდეგ უკან არ წაიღოს იგი. ვილნოს ებრაელთა სამღვდელო საზოგადოებამ სთხოვა სიეზდს. ნება მიეცა მისი წარმომადგენელის დასწრებისათვის სიეზდმა უპასუხა, რომ მაზე მონაწილეობენ არა ერობებისა, არამედ ტერიტორიის წარმომადგენელნი. სიეზდმა დაადგინა, სთხოვოს ვიტტეს, სიეზდზე დასწრები ნება მისცეს გრაფ ტიშკევიჩს და სხვებს, პოლონეთიდან გადასახლებულთ. სიეზდზე მონაწილეობენ 26 საერობო გუბერნიისა და 13 არა საერობო წარმომადგენელნი, 39 დეპუტატი ქალაქებისა და 23 პოლონეთისა. ორატორების უმეტესობას აღფრთოვანებული კილო ეტყობათ ლაპარაკში.

ადესა. გრადონაჩალნიკმა თანხმობა განაცხადა, დაარსდეს მოსამზადებელი კომისია ქალაქის დაცვის საქმის სარეორგანიზაციოთ. აქ იხსნება კავშირთა კავშირის განყოფილება. ადესაში უკვე 15 კავშირი და ორგანიზაციაა.

პეტერბურგი, 7 ნოემბერი. გაფიცვა გათავდა დღის 12 საათზე. ყველა სტამბის ასოთამწყობები შეუდგნენ მუშაობას. აფთიაქები გაიღო. ტელეფონი მუშაობს. რკინის გზები გაიხსნა. ქალაქში სიწყნარეა. ქუჩებში პატრულები დადიან. ყველა ქარხანა მუშაობს.

ბახმუტი. ჟლეტა-ხოცვისაგან მიყენებული ზარალი, საერთოდ, 4 მილიონ მანეთს აღემატება.

გროდნო, 7 ნოემბერი. არეულობა მოხდა მე-26-ე საარტილერიო ბრიგადაში. უბრალო ჯარის კაცთა ერთი ნაწილი დატუსაღებულია. მიზეზი არეულობისა ისაა, რომ მათ მოისურვეს წინად დისციპლინის დარღვევისათვის დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლება.

ლოძი. თითქმის ყველა ფაბრიკები მუშაობს. წესიერი მიმოსვლა დაიწყო ელექტრონის ტრამვაისა ქალაქში. გაღებულია ბანკები და სხვა სავაჭრო დაწესებულებანი. ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო.

ყაზანი. ყაზანში გაიხსნა ბიურო, რომელსაც მიზნათ აქვს შეართოს ის შეხედულებანი და მიმართულებანი, რომელნიც საჭიროა აღმოსავლეთ რუსეთის ყველა თათრებისთვის და მუსულმანებისთვის ცალკე თანამედროვე პირობებში.

ასტრახანი, 6 ნოემბერი. ყირგიზთა მინდვრებში გადამდები სენი აღმოჩნდა ოთხ სამამასახლისოში. ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ ჟამი აღმოაჩინა. მოკვდა 41. 5 ნოემბერს, კრასნი იარის ახლოს, 70 ვერსზე ასტრახანიდან, 6 კაცი აღმოჩნდა ავად. გაიგზავნა ექიმები, ფელდშრები და ჟამის საწინააღმდეგო რაზმები, ყოველივე საჭირო იარაღით აღჭურვილნი. ქალაქში სრული სიმშვიდეა.

პეტერბურგის ბირჟა 11 ოქტომბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	--
ლონდონისაზე ჩეკები	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5$^1/_4$---7$^1/_2$
4% სახელმწიფო რენტა	87$^1/_8$
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85,$^1/_2$
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	451$^1/$
5% მე-2 შინ. ეს. მომ. ბილ. 1866 წ.	346$^1/_2$
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4$^1/_2$% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-არი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4$^1/_2$% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვიდი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—12).

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება **ქართველთა** ამხანაგობის [illegible]

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 19 ნოემბერს 1905 წელს გამგეობის სადგომში, 12 საათზე, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა ვერის ხიდზე გავლისთვის ეტლებისა და საქონლის პატრონთაგან გადასახადის მოკრება.

პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, გამგეობის მე-4 განყოფილებაში 10-დან 2 საათამდე.

(1–ნ.—1)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
„ნაკადული“

წელიწადი მეორე. წელიწადი ითვლება ნოემბრიდან—ნოემბრამდე.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში და მარიამ დემურიას სადგომში—ალექსანდროვის ქუჩა № 5.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან. ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 50 კაპ. ცალ-ცალკე ნომერი „მცირე წლოვანთათვის“ 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანეთად

პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „НАКАДУЛИ“.

რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **„სხივის“** ამხანაგობის გამოცემული **პირველი წიგნი** ივ. გომართლის

ჯუზეპე გარიბალდი

ფასი ორი შაური

ვინც ნაღდად ოცს ცალსა და მეტს იყიდის, დაეთმობა: ტფილისში 6 კაპ., ტფილის გარეთ გაგზავნით 7 კაპ.

წიგნის საწყობი—„ჯეჯილის“ რედაქციაში, არტილ. ქ. № 5. (10—ნ. 2)

ტელეფონი

პირველი საწყობი № 1051.
შეშისა
✦ პ. ი. კურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოკის პირდაპირ. **საკუთარის ტყიდან** მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავისი თვალ-წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებულ საჟენებიდან. (10—6)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ულუხანლუ-სპარსეთის საზღვარის რკინის გზის ამშენებელი გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს საქონლის სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლის დროებით წესრიგს სადგურებ ნახიჩევანსა და ულუხანლუს შუა, რომელიც დაიწყო 29 ოქტომბრიდან ამა წლისა

საქონლის—სამგზავრო მატარებელი № 3 სადგურიდან ულუხანლუ სადგურამდის ნახიჩევანი II და III კლასის ვაგონებით სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით								საქონლის—სამგზავრო მატარებელი № 4 სადგურიდან ნახიჩევანი სადგურამდის ულუხანლუ II და III კლასის ვაგონებით კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით							
№ № ვერსისა	სივრცე სადგურებ შუა	სადგურები	დრო გზაში	მოსვლა	გაჩერება	წასვლა	შეხვედრა, გასწრება და გაშვება	№ № ვერსისა	სივრცე სადგურებ შუა	სადგურები	დრო გზაში	მოსვლა	გაჩერება	წასვლა	შეხვედრა, გასწრება და გაშვება
ულუხანლუდან								ნახჩივანიდან							
		ულუხანლუ				7.10	დილას			ნახჩევანი				6.00	დილით
16	16	კამარლიუ	48	7.58	5	8.03		135	37	შახტახტა	3.04	9.04	20	9.24	
37	21	არარატი	1.03	9.06	5	9.11		98	25	ნორაშენი	1.23	10.47	20	11.07	
49	12	სადარაკი	36	9.47	5	9.52		73	24	სადარკი	1.12	12.19	5	12.24	შეხვედრა მატარებელთან № 15
73	24	ნორაშენი	1.12	11.04	20	11.24		49	12	არარატი	36	1.00	5	1.05	
98	25	შახტახტა	1.23	12.47	20	1.07	შეხვედრა მატარებელთან № 16	37	21	კამარლიუ	1.03	2.08	5	2.13	
135	37	ნახიჩევანი	3.04	4.11	დღით			16	16	ულუხანლუ	48	3,01	დღით		

დრო მოსვლისა და წასვლისა ნაჩვენებია პეტერბურგის დროს მიხედვით, რომელიც უკან არის ტფილისისაზედ 58 წუთით. (3—2)